www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 17 ივლისი, 2012 წელი. | №3067 (159) | ფასი 50 თეთრი

## NDI-ს კვლევის შედეგები: ლიდერი - "ნაციონალური მოძრაობა, მეორე ადგილი - "ქართული ოცნება"

მაგდა ლეკიაშვილი

პოლიტიკური პარტიების რეიტინგები მედიას ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა საკუთარი ინიციატივით პირველად გააცნო. მანამდე NDI-ს კვლევის შედეგების ის ნაწილი, რომელიც პოლიტიკური გაერთიანებების რეიტინგებს ასახავდა, ჟურნალისტებისთვის დახურული იყო. NDI პარტიებს ინდივიდუალურად აცნობდა საზოგადოებრივი აზრის კვლევის მონაცემებს.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე



## პარტიები კვლევის შედეგებს აფასებენ

დათო გამისონია

ამერიკის "ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი" (NDI) საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების იმ ნაწილს, რომელშიც პოლიტიკური პარტიების რეიტინგებია მოცემული, პოლიტიკური სუბიექტები დღეს გაეცნობიან. თუმცა, მათ თავიანთი რეიტინგების შესახებ გუშინ შეიტყვეს. საქართველოში NDI-ს ოფისის დირექტორმა ლუის ნავარომ ტრადიცია დაარღვია და კვლევის შედეგების პირველი პრეზენტაცია მედიისთვის გამართა.

ლუის ნავაროს რამდენიმე წუთის დასრულებული ჰქონდა პრეზენტაცია, როცა კოალიცია "ქართული ოცნების" პრესსპიკერმა მაია ფანჯიკიძემ კვლევის შედეგებს უნდობლობა გამოუცხადა. **"ჩვენ ამ და მსგავს კვლევებს არ ვენდობით. არ ვიცით, რა მეთოდოლოგიით ტარდება. გაურკვეველია, რატომ ხდება კვლევის წარდგენა სხვადასხვა დროს,"** - აღნიშნავს მაია ფანჯიკიძე. მან კოალიციის მაღალი რეიტინგის სხვა მახასიათებლის შესახებ ისაუბრა. **"ჩვენ 5 აქცია ჩავატარეთ და კარგად დავინახეთ, რამდენი ადამიანი გვიჭერს მხარს. იმ ქალაქებში, სადაც ჩვენ ვიყავით, ხალხის უპრეცედენტო რაოდენობა გამოვიდა,"** - აღნიშნა ფანჯიკიძემ.

"ნაციონალურ მოძრაობა" კი კვლევების შედეგებით კმაყოფილია. საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გოკა გაბაშვილი მხარდამჭერების მიმართ მადლიერებას გამოხატავს და მიიჩნევს, რომ NDI-ს კვლევა ემთხვევა იმ მონაცემებს, რომლებიც "ნაციონალურ მოძრაობას" სხვა კვლევების შედეგებითაც აქვს. თუმცა, გოკა გაბაშვილი იმ სოციოლოგიური მეთოდის განმარტებას აკეთებს, რომელსაც, მისი თქმით, NDI თავისი სპეციფიკური მიდგომის გამო არ აჯამებს.

დეპუტატი გულისხმობს იმ მონაცემთა გადანაწილებას, რომლის თანახმად, გამოკითხულთა 22 პროცენტი ამბობს, რომ არ იცის, ხმას ვის მისცემს; 16 პროცენტი პასუხის გაცემისგან თავს იკავებს; 4 პროცენტი კი ჩამოთვლილი პარტიებიდან არცერთისთვის არ აპირებს ხმის მიცემას.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

## ასადის რეჟიმს სამხედრო ტრიბუნალი ემუქრება

ხათუნა გაბიევი

სირიაში საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ამოქმედდა მას შემდეგ, რაც "წითელმა ჯვარმა" მდგომარეობა ოფიციალურად შეაფასა როგორც სამოქალაქო ომი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილეები შესაძლოა, პასუხისგებაში მისცენ ჟენევის კონვენციის დარღვევისთვის, რომელიც მშვიდობიანი მოსახლეობის მკვლელობას სამხედრო დანაშაულად განიხილავს.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე



## "ზესტაფონი" ევროპული სეზონის სტარტზე

მიხეილ აბაიშვილი

დღეს ევროტურნირებში ჩაებმება საქართველოს გასული სეზონის საუკეთესო გუნდი "ზესტაფონი", რომელიც ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის გასვლით მატჩს ბაქოში, ადგილობრივ "ნეფთჩისთან" გამართავს. საქართველოს ჩემპიონმა კონკრეტულად ამ მატჩისთვის და ზოგადად მოახლოებული სეზონისთვის ნაყოფიერი და ძვირად ღირებული უცხოური საწვრთნელი შეკრება გაიარა. გია ჭიაბრიშვილის გუნდმა ავსტრიის ალპებში, საუცხოო პირობებში გაიარა მომზადება და ოთხი საკონტროლო შეხვედრაც ჩაატარა, რომელთაგან ორი წააგო, ერთი ფრედ დაამთავრა და ერთი მოიგო.

გაგრძელება
მე-7 გვერდზე



| | |
|---|---|
| 1 აშშ დოლარი | 1.6511 |
| 1 ევრო | 2.0153 |
| 1 ინგლისური გირვანქა | 2.5511 |
| 1 თურქული ლირა | 0.9091 |
| 100 რუსული რუბლი | 5.0556 |

| | |
|---|---|
| თბილისი | 33°C - 22°C |
| ქუთაისი | 35°C - 21°C |
| თელავი | 33°C - 22°C |
| ზუგდიდი | 33°C - 21°C |
| ბათუმი | 29°C - 21°C |

| | | | |
|---|---|---|---|
| ნავთობი | 2.81 | +0.03 | +0.90% |
| გაზი | 2.80 | -0.08 | -2.72% |
| ოქრო | 1,589.30 | -2.70 | -0.17% |
| ხორბალი | 879.00 | +31.25 | +3.56% |

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
**www.24saati.ge**
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK

FM 102.4

ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100

## საქართველოს ნაკრებში ახალი ამერიკელია

საქართველოს ეროვნულ ნაკრებში მნიშვნელოვანი სიახლეებია. იგორ კოკოშკოვის გუნდში ახალი კალათბურთელები გამოიძახეს, რომელთაგან ერთი ამერიკელია.

ეს სიახლეები კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე გამოაცხადა.

საქართველოს ნაკრებში ახალი ამერიკელი კალათბურთელი გამოიძახეს.

გაგრძელება
მე-7 გვერდზე




*საქართველოს ნაკრების ახალი წევრი, ამერიკელი ჭეისონ პულენი*

## ფასდაკლების კუპონი

აქცია ექსკლუზივი

24 საათი | Weekend | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | საქართველოს ფოსტა GEORGIAN POST

4 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით!
ექსკლუზიურად „24 საათის“ და „Weekend“-ის მკითხველისთვის!

- ამოჭერი კუპონი და მიიღე ექსკლუზიური ფასდაკლება „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ წიგნებზე „საქართველოს ფოსტის“ პრესის ჯიხურებში მთელი საქართველოს მასშტაბით, თქვენთვის მოსახერხებელ ადგილას.
- აირჩიე 5 წიგნიდან შენთვის სასურველი 1 წიგნი და შეიძინე საუკეთესო ფასად!

| | | |
|---|---|---|
| ყვავი ცალიწინდა ოინბაზობს | ~~5.90~~ | 4.90 |
| ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი | ~~9.00~~ | 4.00 |
| ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები | ~~6.90~~ | 3.00 |
| ქართველები ამერიკაში | ~~17.90~~ | 11.90 |
| კავკასიის გეოპოლიტიკური ატლასი | ~~15.90~~ | 11.00 |

## პრეზიდენტი სადაზღვევო პოლისების დარიგების პროცესს დააკვირდა

მიხეილ სააკაშვილი ბათუმში "ლიბერთი ბანკის" ფილიალში სადაზღვევო პოლისების დარიგების პროცესს პირადად დააკვირდა. დიდი რიგების გამო პრეზიდენტმა ბანკის ხელმძღვანელობას პროცესის მოწესრიგება მოსთხოვა, პენსიონერებს კი ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამის მნიშვნელობაზე ესაუბრა.

სააკაშვილის თქმით, სადაზღვევო პოლისების მეშვეობით, 1-ლი სექტემბრიდან, დამატებით, მილიონზე მეტი ადამიანი შეძლებს დიაგნოსტიკურ გამოკვლევას, ამბულატორიულ მკურნალობას, გეგმიური და გადაუდებელი ოპერაციების გაკეთებას და სხვა ჰოსპიტალური მომსახურების მიღებას.

ამჟამად, სახელმწიფო დაზღვევით 900 ათასამდე მოქალაქე სარგებლობს.

## შეზღუდული შესაძლებლობის პირთათვის მომსახურება გამარტივდა

თბილისის მერიის მოქალაქეთა მომსახურების ცენტრში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ნებისმიერი მომსახურება რიგის გარეშე იქნება შესაძლებელი. როგორც დედაქალაქის მერიაში აცხადებენ, შენობაში სპეციალურად მათთვის ადაპტირებული საკონსულტაციო ოთახი მოეწყო.

თბილისის მასშტაბით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის პარკირების 350-მდე სპეციალური ადგილიც გამოიყო, სადაც მხოლოდ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მძღოლები შეძლებენ მანქანების გაჩერებას. ისინი პარკირების მანიშნებელ სპეციალურ სტიკერებს მერიაში აიღებენ. ყველა სხვა პირს, რომლის მანქანას პარკირების სპეციალური მანიშნებელი სტიკერი არ ექნება და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის გამოყოფილი პარკირების ადგილით ისარგებლებს, 1-ლი აგვისტოდან ადმინისტრაციული ჯარიმის გადახდა მოუწევს.

## ზურაბ ჭიაბერაშვილმა ფოთელებს ინფორმაცია მიაწოდა

ჯანდაცვის მინისტრი ზურაბ ჭიაბერაშვილი ფოთის ახლად აშენებულ საავადმყოფოში მოსახლეობას შეხვდა და ახალი სადაზღვევო პოლისების დარიგების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

როგორც ჭიაბერაშვილმა განაცხადა, მოსახლეობისთვის ახალი სადაზღვევო პოლისების დარიგება უკვე დაიწყო. მათ გამოყენებას მფლობელები პირველი სექტემბრიდან შეძლებენ. სახელმწიფო დაზღვევას ყველა ასაკით პენსიონერი, 5 წლის ასაკის ჩათვლით ბავშვები და სტუდენტები მიიღებენ. პროგრამა შეეხება მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოქალაქეებსაც.

მისი თქმით, საქართველოს ყველა რაიონში დაზღვევას იღებს 5550 ათასზე მეტი პენსიონერი და 0-დან 5 წლამდე ასაკის 250 ათასზე მეტი ბავშვი.

"ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თითოეული პენსიონერი, რომელიც ახლაც "ლიბერთი ბანკში" დგას რიგში და ელოდება პენსიას, პენსიასთან ერთად მიიღებს არა მხოლოდ თანხას, არამედ ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისს. მინდა, მოგილოცოთ ეს დღე, პირველი სექტემბრიდან თქვენ შეძლებთ ამ დაზღვევის პოლისების გამოყენებას და ეს იქნება დიდი დახმარება თითოეული ოჯახისთვის," - განაცხადა ჭიაბერაშვილმა.

## განათლების სამინისტრო ახალ პროექტს იწყებს

საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო იწყებს ახალ პროექტს - "პროფესიული გადამზადებისა და პროფესიული ორიენტაციის ტრენინგებს".

სამინისტროს ინფორმაციით, პროექტი ნებისმიერ მსურველს საშუალებას აძლევს, გადამზადების ორთვიანი კურსი გაიაროს ინგლისურ ენაში, კომპიუტერულ უნარ-ჩვევებსა და პროფესიულ ორიენტაციაში და სურვილისამებრ აირჩიოს ერთი, ორი ან სამივე ტრენინგი ერთად. საქართველოს 20 ქალაქისა და რაიონული ცენტრის 80 ტრენინგცენტრში ერთდროულად 20 000 ადამიანი უფასოდ გადამზადდება.

როგორც განათლების მინისტრმა ხატია დეკანოიძემ აღნიშნა, პროექტში მონაწილეობის მსურველთა რეგისტრაცია გუშინ დაიწყო. რეგისტრაციის პროცესი 2012 წლის 16 ივლისიდან 10 სექტემბრამდე იწარმოებს. რეგისტრაციის გავლა შესაძლებელია როგორც ელექტრონულად ვებგვერდზე www.po.ge, აგრეთვე ამავე საიტზე მითითებულ დაწესებულებებში.

მისივე თქმით, რეგისტრაციისთვის საჭიროა მხოლოდ საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი; დარეგისტრირებული ყველა მონაწილე მიიღებს პროექტში მონაწილეობის დამადასტურებელ საბუთს და მისთვის მაქსიმალურად მოსახერხებელი ლექციების განრიგს.

დეკანოიძის თქმით, სალექციო კურსს პროფესიონალი ტრენერები ჩაატარებენ. სპეციალურად ამ ტრენინგებისათვის სახელმძღვანელოები შეიქმნა. ყველა საჭირო სახელმძღვანელო და სასწავლო მასალა მონაწილეებს უფასოდ დაურიგდებათ.

# NDI-ს კვლევის შედეგები: ლიდერი - "ნაციონალური მოძრაობა, მეორე ადგილი - "ქართული ოცნება"

პირველი გვერდიდან

ხოლო პოლიტიკოსები, სურვილისამებრ, თავად ასაჯაროებდნენ საკუთარ რეიტინგებს. როგორც NDI-ს საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი ლუის ნავარო ამბობს, ხშირად პოლიტიკური პარტიებიდან ინფორმაცია ჟონავდა და მედია მას არასწორად აშუქებდა. შედეგად კი პოლიტიკური რეიტინგების სანდოობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგებოდა. ლუის ნავაროს თქმით, პოლიტიკურ და სამოქალაქო ლიდერებს სანდო და მიუკერძოებელ ინფორმაციაზე უნდა მიუწვდებოდეთ ხელი.

**"ჩვენ არასწორი ინფორმაციის გავრცელება და არასწორი ინტერპრეტაცია მინიმუმამდე გვინდა, დავიყვანოთ. სწორედ ამიტომ NDI პოლიტიკურ რეიტინგებს საჯაროს ხდის, რათა უზრუნველყოს კვლევის შედეგების მაქსიმალური გამჭვირვალობა და შესაბამის კონტექსტში ანალიზი,"** - ამბობს ლუის ნავარო. მისივე თქმით, მონაცემები, რომლებიც პოლიტიკური პარტიის რეიტინგებს ასახავს, არ იძლევა იმის წინასწარმეტყველების საშუალებას, ზუსტად ასეთი შედეგი დაფიქსირდება თუ არა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე.




არჩევნებამდე სამი თვით ადრე NDI-ს კვლევის შედეგების მიხედვით, საზოგადოების სიმპათიას ყველაზე მეტად პატრიარქი იმსახურებს. კითხვაზე - რამდენად მოგწონთ ესა თუ ის საზოგადო ფიგურა, პასუხები შემდეგია: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი გამოკითხულთა 92 პროცენს მოსწონს, მხოლოდ 1 პროცენტია იმ ადამიანებისა, რომლებსაც უწმინდესი არ მოსწონთ. მიხეილ სააკაშვილი გამოკითხულთა 58 პროცენტს მოსწონს, ხოლო 23 პროცენტს არ მოსწონს. ბიძინა ივანშვილი მოსწონს გამოკითხულთა 46 პროცენტს, 24 პროცენტს არ მოსწონს. რაც შეეხება, ახალ პრემიერს ვანო მერაბიშვილს, იგი მოსწონს გამოკითხულთა 55 პროცენტს და 24 პროცენტის სიმპათია კი ვერ დაიმსახურა.

მოქალაქეებმა კვლევაში საზოგადო პირებისა და სტრუქტურების საქმიანობაც შეაფასეს. აქაც პირველ ადგილს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი იკავებს. როგორ შეაფასებდით ქვემოთ ჩამოთვლილ პირთა საქმიანობას? - გამოკითხულთა პასუხები ასე გადანაწილდა: პატრიარქის საქმიანობას პოზიტიურად აფასებს 87 პროცენტი, ვანო მერაბიშვილისას - 49 პროცენტი, გიგი უგულავასას - 40 პროცენტი, ხოლო მიხეილ სააკაშვილის საქმიანობა მოსწონს 39 პროცენტს. რაც შეეხება ოპოზიციონერ ბიძინა ივანიშვილს, მისი საქმიანობა გამოკითხულთა 33 პროცენტის მოწონებას იმსახურებს.

NDI-მ საზოგადოებრივი ინსტიტუტებისადმი ნდობაც გამოიკვლია. ამავე შეკითხვას ინსტიტუტების მიმართ გამოკითხულებმა შემდეგი პასუხები გასცეს:

გამოკითხულთა 57 პროცენტი დადებითად აფასებს საქართველოს ჯარის საქმიანობას, საქართველოს პოლიციის საქმიანობა 58 პროცენტს მოსწონს, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაობით კმაყოფილია 43 პროცენტი. "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" საქმიანობას დადებითად აფასებს 37 პროცენტი, ხოლო "ქართული ოცნებისას" - 29 პროცენტი.

რაც შეეხება მოსახლეობის დამოკიდებულებას მომავალი საპარლამენტო არჩევნებისადმი: შეკითხვაზე - ხვალ რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები იყოს, რომელ პოლიტიკურ პარტიას მისცემდით ხმას, "ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" ასახელებს 36 პროცენტი, კოალიცია "ქართულ ოცნებას" - 18 პროცენტი, "ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას" - 3 პროცენტი. არის კიდევ ერთი კატეგორია - სხვა ოპოზიცია, რომელსაც მხარს უჭერს გამოკითხულთა მხოლოდ 1 პროცენტი. რაც შეეხება მოქალაქეების განწყობას არჩევნების მიმართ, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას გამოკითხულთა 75 პროცენტი გეგმავს.

NDI-ს კვლევის შედეგების მიხედვით, საქართველოს მომავალ პრეზიდენტად "ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატს გამოკითხულთა 22 პროცენტი დაუჭერდა მხარს. ბიძინა ივანიშვილის მიერ მხარდაჭერილი კანდიდატი კი პრეზიდენტად გამოკითხულთა 20 პროცენტს სურს. გიორგი თარგამაძის გაპრეზიდენტებას მხოლოდ 4 პროცენტი უჭერს მხარს.

NDI-ს შედეგებს კვლავ არ ენდობა კოალიცია "ქართული ოცნება". "ოცნების" პრესსპიკერი მაია ფანჯიკიძე ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევაზე კომენტარს არ აკეთებს. მისი თქმით, ამ ინსტიტუტის კვლევების მიმართ კოალიციამ არაერთხელ დააფიქსირა აზრი - მსგავს კვლევებს არ ენდობიან; არ იციან, რა მეთოდოლოგიით ტარდება საზოგადოების გამოკითხვა და რატომ ხდება კვლევის წარდგენა სხვადასხვა დღეს.

**"ჩვენ ჩავატარეთ 5 აქცია და ძალიან კარგად დავინახეთ, რამდენი ადამიანი გვიჭერს მხარს. ყველა კარგად ხედავს, რომ იმ ქალაქებში, სადაც ჩვენ ვიყავით, ხალხის უპრეცედენტო რაოდენობა დაფიქსირდა,"** - აღნიშნა ფანჯიკიძემ.

კოალიციისგან განსხვავებით, NDI-ს და სხვა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევის შედეგებს ენდობიან მმართველ პარტიაში. უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ხათუნა ოჩიაური ამბობს, რომ თითოეული ეს კვლევა ემსახურება პოლიტიკოსების მიმართ ხალხის დამოკიდებულების გამჟღავნებას. ოჩიაურის განცხადებით, სწორედ ასეთი კვლევების შედეგად აღმოჩენილ პრობლემებზეა აგებული ხელისუფლების სამოქმედო პროგრამა. ამასთან, დეპუტატი დასძენს, რომ მისი გუნდის წევრებმა კარგად იციან ხალხის გასაჭირი და მისი დაძლევის მექანიზმები. სწორედ ამას მიაწერს უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი თავისი გუნდის მაღალ რეიტინგს.

**"თუკი ჩვენ შევძელით და სახელმწიფო ფეხზე დავაყენეთ, დავძლიეთ კორუფცია და კრიმინალი, ახლაც შევძლებთ მთავარი პრობლემის - უმუშევრობის დაძლევას. სწორედ პრობლემებზეა აგებული ჩვენი საარჩევნო პროგრამა. საზოგადოების ნდობა დიდ პასუხისმგებლობას გვანიჭებს, მით უმეტეს, რომ ჩვენ საარჩევნო კამპანია ჯერ არ დაგვიწყია,"** - ამბობს ოჩიაური.

"24 საათი" "ქრისტიან-დემოკრატიული" მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერ ლევან ვეფხვაძესაც ესაუბრა, რომელიც NDI-ს კვლევის შედეგებით კმაყოფილია. მისი თქმით, ამ კვლევებმა აჩვენა, რომ "ნაციონალური მოძრაობის" რეიტინგმა დაიწია. ამასთან, ბევრი ოპოზიციური პარტია დარჩა ელექტორატის გარეშე. ამასთან, ვეფხვაძის თქმით, გამოკითხულთა თითქმის 24 პროცენტი გადაუწყვეტელი ამომრჩეველია. დეპუტატი კი მიიჩნევს, რომ ამ ადამიანების უმეტესობა შინაგანად სწორედ "ქრისტიან-დემოკრატებს" უჭერს მხარს. შესაბამისად, ვეფხვაძის თქმით, თუკი მისი პარტია სწორ საარჩევნო კამპანიას ჩაატარებს, ეს ხმებიც მათ ანგარიშზე იქნება.

**""ქრისტიან-დემოკრატებისადმი" მყარი მხარდაჭერა არსებობს, რადგან მეორე არჩევანი პოლიტიკურ პარტიებს შორის ყველაზე მაღალი ჩვენ გვაქვს. პირველი და მეორე არჩევანი ჯამში 10-12 პროცენტამდე აღწევს. ამიტომ მიმაჩნია, რომ საპარლამენტო არჩევნებზე შედეგი გარანტირებული იქნება,"** - ამბობს ლევან ვეფხვაძე.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ქალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# პარტიები კვლევის შედეგებს აფასებენ

პირველი გვერდიდან

**"თუკი ე.წ. გადანაწილებულ ამომრჩევლებს მხედველობაში მივიღებთ, ჩვენ უფრო მაღალი მხარდაჭერა გვაქვს. NDI-ს მონაცემები სხვა კვლევების შედეგებს ემთხვევა, რომლებსაც ჩვენ ვატარებთ,** - ამტკიცებს გოკა გაბაშვილი, - **ამომრჩეველი საბოლოო გადაწყვეტილებას არჩევნების დღეს მიიღებს. არჩევნების დღეს მხარდამჭერები რეალურად, არა მხოლოდ "ნაციონალურ მოძრაობას", არამედ "ქართულ ოცნებასაც" დაემატება, ოღონდ შესაბამისი პროპორციით."**

გუშინ "ნაციონალურმა მოძრაობამ" პოლიტიკური პარტიების რეიტინგების შესახებ შიდა კვლევების მონაცემები ჟურნალისტებს გაუზიარა. "ნაციონალური მოძრაობის" ცნობით, ივნისში პარტიის დაკვეთით ორგანიზაცია GREENBERG QUINLAN ROZNER-მა კვლევა ჩაატარა. კითხვაზე - მიუხედავად იმისა, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე ჯერ კიდევ ბევრი დროა, არჩევნები დღეს რომ ტარდებოდეს, რომელ პარტიას მისცემდით ხმას? "ნაციონალური მოძრაობას" 57 პროცენტი უჭერს მხარს; 31 პროცენტი - კოალიცია "ქართულ ოცნებას"; 4 - ქდმ-ს, 1 - "ლეიბორისტულ პარტიას"; 5 პროცენტი იმ რესპონდენტების ჯამია, რომლებიც ამბობენ, რომ არ იციან, არჩევნებში ხმას ვის მისცემენ და პასუხის გაცემისგან თავს იკავებენ.

როგორც "ნაციონალურ მოძრაობაში" განმარტავენ, მონაცემებში იმ პასუხების შედეგებია გადანაწილებული, როცა მოქალაქეებმა განაცხადეს: "არც ერთ პარტიას არ ვაძლევ ხმას," "უარი პასუხზე..."

გოკა გაბაშვილი NDI-ს კვლევის თანახმად "ნაციონალური მოძრაობის" რეიტინგის 11-პროცენტიანი კლების შესახებაც საუბრობს. **"თვეების განმავლობაში რამდენიმეპროცენტიან ცვალებადობას "ნაციონალური მოძრაობისთვის" მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია ტენდენცია და ის მონაცემი, რომლითაც 2-ჯერ მეტი ამომრჩეველი გვყავს, ვიდრე ჩვენს ოპონენტებს,"** - ამბობს გოკა გაბაშვილი. მისი თქმით, "ნაციონალურ მოძრაობას" საარჩევნო კამპანიის დასაწყებად იდეალური სასტარტო პირობები აქვს.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ნუგზარ წიკლაური ამბობს, რომ NDI-ს კვლევას სამთავრობო ცვლილებების პერიოდი რომ მოეცვა, "ნაციონალურ მოძრაობას" უფრო მაღალი რეიტინგი ექნებოდა. **"სამთავრობო ცვლილება დინამიური ეპიზოდი იყო. ეს ნაბიჯი საზოგადოებამ პოზიტიურად აღიქვა. ახალი პრემიერ-მინისტრის ივანე მერაბიშვილის პროგრამა უფრო მიზნობრივი და აქცენტირებულია,"** - მიიჩნევს წიკლაური.

არჩევნებში "ნაციონალური მოძრაობის" გამარჯვების შანსებზე საუბრისას წიკლაური აღნიშნავს, რომ არჩევნებამდე სამიოდე თვით ადრე "ნაციონალურ მოძრაობას" "ქართულ ოცნებაზე" ორჯერ მაღალი რეიტინგი აქვს.

**"ეს ნიშნავს იმას, რომ არჩევნებზე ისეთივე შედეგი იქნება, რაც კვლევებშია მოცემული,"** - აცხადებს ნუგზარ წიკლაური. თუმცა, საპარლამენტო უმრავლესობის წევრს არ მოსწონს, რომ NDI-ს კვლევებმა პოლიტიკურ ასპარეზზე დიდი პოლარიზაცია დაადასტურა. **"მე-3 ადგილზე მყოფ "ქრისტიან-დემოკრატებს" დაბალი მაჩვენებელი აქვს, რაც დემოკრატიისთვის კარგი არ არის. მაგრამ, ეს არის ის, რასაც მოქალქეები ამბობენ და ამ მონაცემებში ეჭვის შეტანის არანაირი საფუძველი არ გვაქვს,"** - აცხადებს ნუგზარ წიკალური.

"ქრისტიან-დემოკრატები" კვლევის მონაცემებს ტრაგიკულად არ აღიქვამენ. როგორც ვიცე-სპიკერმა "ქრისტიან-დემოკრატებიდან" ლევან ვეფხვაძემ აღნიშნა, ივნისის პირველ ნახევარში, პოლარიზების და ეიფორიების პიკში, "ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობისგან" განსხვავებით, ყველა სხვა ოპოზიციური პარტია ელექტორატის გარეშე დარჩა. **"ქრისტიან-დემოკრატებისადმი" მხარდაჭერა მყარია, რადგან ჩვენ პოლიტიკურ პარტიებს შორის ყველაზე მაღალი მეორე არჩევანი გვაქვს. გარდა ამისა, მაღალია ისეთი ამომრჩევლის წილი, რომელსაც გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია,"** - აღნიშნავს ლევან ვეფხვაძე.

NDI-ს დაკვეთით ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებს ენდობა "ეროვნულ-დემოკრატიული პარტია". კვლევის შესახებ საუბრისას გურამ ჩახვაძემ შენიშნა, რომ ის საფრთხე, რომლის შესახებ ედპ საუბრობდა, სახეზეა - პოლიტიკური ველი და სპექტრი პოლარიზებულია. **"ჩვენ იმედს ნეიტრალურად განწყობილი ამომრჩეველი გვისახავს, რომელიც საკმაოდ მრავალრიცხოვანია. ზომიერი პარტიები, რომლებიც არც "ნაციონალური მოძრაობის" და არც "ქართული ოცნების" მხარეს არ არიან, არჩევანს ამ მოქალაქეებზე აკეთებენ,"** - ამბობს გურამ ჩახვაძე. როგორც ედპ-ს წევრი დასძენს, საზოგადოებაში არსებული პრობლემების შესასწავლად, NDI-ს კვლევები პარტიისთვის საგზაო რუკის ფუნქციას ასრულებს.

# "როუფ ჯამფინგის" ინსტრუქტორები დაკითხეს

*სამართალდამცველებმა უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსთან მომხდარი უბედური შემთხვევის გამო "როუფ ჯამფინგის" ინსტრუქტორები დაკითხეს.*

სამართალდამცველებმა მომხდართან დაკავშირებით დაკითხეს "როუფ ჯამფინგის" ორგანიზატორი ირაკლი გუჯაბიძე, რომელიც მთამსვლელ ბიძინა გუჯაბიძის ძმაა. არსებული ინფორმაციით, გუჯაბიძე დაკითხვის შემდეგ გაათავისუფლეს.

უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსთან მდებარე ხიდიდან ხტომის - "როუფ ჯამფინგის" დროს, გუშინწინ საღამოს ორი ახალგაზრდა - 23 წლის მარიამ ყანდაშვილი და 25 წლის გოგა გოლეთიანი დაიღუპა. არსებული წინასწარი ინფორმაციით, უბედური შემთხვევა თოკის გაწყვეტამ გამოიწვია.

"ჯამფერების" ხტომა დედაქალაქში საკმაოდ გავრცელებული ექსტრემალური სპორტია. უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსთან მდებარე ხიდის სიმაღლე 50 მეტრია, საფრენი მანძილი კი 35 მეტრი. "ჯამფერს" სპეციალური სამაგრები უმაგრდება წელსა და ფეხებზე და სიმაღლიდან ხტება.

თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურული სამსახურის უფროსი მამუკა ქაცარავა უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის ხიდიდან "როუფ ჯამფინგის" დროს ახალგაზრდების დაღუპვას ორგანიზატორთა უპასუხისმგებლობის შედეგად მიიჩნევს.

როგორც მამუკა ქაცარავამ განაცხადა, გასარკვევია, რამდენად დასაშვები იყო იმ თოკით ორი ადამიანის გადმოხტომა. მისივე თქმით, ფაქტია, რომ არ იყო დაცული უსაფრთხოების ნორმები.

**"ექსპერტები დეტალურად სწავლობენ თოკის მდგრადობას და ყველა ნიუანსს. ვფიქრობ, რომ იყო ორგანიზატორების უპასუხისმგებლობა, როგორც საუბარში ირკვევა, ამ თოკს გასული ჰქონდა ექსპულატაციის ვადა,"** - აცხადებს მამუკა ქაცარავა.

არსებული ინფორმაციით, გუშინდელ დღესთან დაკავშირებით სპეციალური ფასდაკლება იყო. თუ გადმოხტომა 2 ადამიანზე 100 ლარი ღირს, გუშინ ფასდაკლების პაკეტი 50 ლარი გახლდათ.

**"თოკი, რომლითაც საქართველოში ხტებიან, ზუსტად ისეთივეა, როგორიც სხვა ქვეყნებში. ყველა დეტალი და მოწყობილობა შეძენილია ოფიციალური დილერებისგან, რომელთაც 10-წლიანი გამოცდილება აქვთ ამ დარგში. გადმოხტომა შეუძლია ნებისმიერ სრულწლოვან, ჯანმრთელ ადამიანს (არასრულწლოვანს უნდა ახლდეს სრულწლოვანი პასუხისმგებელი პირი). ვარდნა უსაფრთხოა, უსაფრთხოების ნორმების 100 პროცენტით უზრუნველყოფაზე ზრუნავენ პროფესიონალი ალპინისტები,"** - ნათქვამი იყო საქველმოქმედო აქციის რეკლამისთვის გამოქვეყნებულ ინფორმაციაში.

# 6-წლიანი პატიმრობა ხულიგნობისთვის

*თბილისის საქალაქო სასამართლომ ხულიგნობაში ბრალდებულ რომან ცეცაძეს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა და ბიუჯეტის სასარგებლოდ 3 ათასი ლარის გადახდა დააკისრა.*

საქმის მასალების მოხედვით, 2007 წლის ივნისში ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სპეციალური დანიშნულების რაზმის სამორიგეო განყოფილების ინსპექტორი - რომან ცეცაძე შვილის სანახავად, ყოფილი მეუღლის სახლში ნასვამი მივიდა.

"ბრალდებულს კარი ყოფილი მეუღლის დამ მაია გ-მ გაუღო, რომელმაც რომან ცეცაძეს სთხოვა, ნასვამ მდგომარეობაში ყოფნის გამო შვილის სანახავად სხვა დროს მისულიყო. რომან ცეცაძემ ხმამაღლა გამოხატა უკმაყოფილება, საქამრიდან ამოიღო ტაბელური იარაღი და მაია გ-ს სახლში შეშვება მუქარით მოსთხოვა. ხმაურზე ეზოში გამოვიდნენ მეზობლები, რომლებიც ბრალდებულის დამშვიდებას შეეცადნენ, რა დროსაც ბრალდებულმა მაია გ-ს სახეში ხელი ძლიერად გაარტყა. საბოლოოდ, მეზობლებმა რომან ცეცაძე ყოფილი მეუღლის სახლს მოარიდეს. წასვლისას რომან ცეცაძე ყოფილ ცოლის დას დაემუქრა, რომ ამ შემთხვევას სასტიკად ანანებდა", - ნათქვამია საბრალდებო დასკვნაში.

ბრალდების თანახმად, 2007 წლის 26 აგვისტოს, რომან ცეცაძემ ცეცხლის წაუკიდა მაია გ-ს ავტომანქანას, რითაც მას 20 000 დოლარის მატერიალური ზიანი მიაყენა.

რომან ცეცაძის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იყო გირაო, მაგრამ მან სასამართლოში გამოცხადებას თავი აარიდა, რის გამოც, საქმის სასამართლო განხილვა ბრალდებულის გარეშე ჩატარდა.

საქმის არსებითი განხილვისას, სასამართლო სხდომაზე უტყუარად ვერ დადასტურდა რომან ცეცაძის მიერ ავტომანქანისთვის ცეცხლის წაკიდების და ამით მისი დაზიანების ფაქტი, შესაბამისად, ბრალდებული ბრალდების ამ ნაწილში გამართლდა. თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურებულად მიიჩნია რომან ცეცაძის მიერ ხულიგნობის ჩადენის ფაქტი და მას მიუსაჯა 6 წლით პატიმრობა. ასევე, მას სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 3 ათასი ლარის ოდენობის ჯარიმის გადახდა დაეკისრა.

## "ლეიბორისტები" აშშ-ს ხელისუფლებას ადანაშაულებენ

"ლეიბორისტები" აშშ-ს ხელისუფლებას საქართველოს საარჩევნო პროცესებში უხეშად ჩარევაში ადანაშაულებენ. როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე "ლეიბორისტული პარტიის" იდეოლოგიურმა მდივანმა კახაბერ ძაგანიამ განაცხადა, აშშ-ს ხელისუფლება საქართველოს შიდა პროცესებში აქტიურად ერევა და მომავალი არჩევნების გაყალბების საშუალებით საქართველოს ხელისუფლებასა და ოპოზიციაში ვაშინგტონიდან მართული პოლიტ-აგენტების დამკვიდრებას ცდილობს.

"ამერიკელმა კოლონიზატორებმა დღეს მორიგი სიყალბე გამოაცხვეს რეიტინგების სახით, სადაც მათი ვერაგული გეგმაა ასახული მომავალი არჩევნების გაყალბებით ხელისუფლებასა და ოპოზიციაში ვაშინგტონიდან მართული პოლიტ-აგენტების კვლავ დასამკვიდრებლად. "საქართველოს ლეიბორისტული პარტია" პროტესტს უცხადებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, ჩვენი ქვეყნისთვის საარჩევნო თავისუფლების წართმევის გამო და მიმართავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკოლონიზაციის კომიტეტს, დაიწყოს განხილვა საქართველოს როგორც დე ფაქტო ამერიკის კოლონიური ტერიტორიის შემდგომ ბედზე," - განაცხადა ძაგანიამ.

## პარლამენტი ქუთაისში გადასვლის პროცესს იწყებს

საქართველოს პარლამენტი ქუთაისში გადასვლის პროცესს იწყებს, - აღნიშნულ საკითხზე პარლამენტის აპარატის უფროსი დავით ჯანიაშვილი გუშინ კომიტეტების აპარატებისა და პარლამენტის სამსახურების უფროსებს შეხვდა.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციის დეპარტამენტის უფროსმა მაკა გიგაურმა ჟურნალისტებს განუცხადა, პარლამენტის გადასვლის პროცესს გარკვეული ეტაპები სჭირდება - გადასატანია მასალები, არქივი, აპარატურა და ა.შ. მისი თქმით, შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს, თუ რა ვადა დასჭირდება ამ პროცესს.

რაც შეეხება ადამიანურ რესურსს, გუგაურის ინფორმაციით, ჯერჯერობით არ არის დადგენილი, თუ რამდენი თანამშრომელი გადავა ქუთაისში სამუშაოდ.

"აპარატის ხელმძღვანელობა ყველა თანამშრომელს სთავაზობს, რომ ქუთაისში იმუშაონ, ვინ წამოვა და ვინ არა, ეს მათ ნებაზეა დამოკიდებული," - დასძინა გიგაურმა. პარლამენტის თბილისის შენობა ჯერჯერობით გაყიდული არ არის. მის ნაწილში უკვე გადავიდა "საპარტნიორო ფონდის" ოფისი, რომელსაც ყოფილი პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური ხელმძღვანელობს.

კონსტიტუციის მიხედვით, საპარლამენტო არჩევნების შედეგების გამოქვეყნების შემდეგ პარლამენტმა მუშაობა უკვე ქუთაისში უნდა დაიწყოს. საპარლამენტო არჩევნები კი ოქტომბერში ჩატარდება.

## მაია ფანჯიკიძე: "საქართველოს ხელისუფლება რუსეთს საკუთარ თავს სთავაზობს"

კოალიცია "ქართული ოცნების" პრესსპიკერ მაია ფანჯიკიძის თქმით, საქართველოს ხელისუფლება რუსეთს საკუთარ თავს სთავაზობს. როგორც ფანჯიკიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, აღნიშნულს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ "ეხო მოსკვისთვის" მიცემული ინტერვიუც ადასტურებს, რომელშიც გრიგოლ ვაშაძე მზადყოფნას გამოთქვამს, რუსეთთან დიალოგი ყოველგვარი წინაპირობის გარეშე დაიწყოს.

"ეს ძალიან საინტერესო ფრაზაა. რას ნიშნავს ყოველგვარი წინაპირობის გარეშე დიალოგის დაწყება. წინაპირობა აღარ არის საქართველოს დეოკუპაცია, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან რუსეთის ელჩების გაყვანა? ეს ნიშანდობლივი ფრაზაა, თუმცა რა დგას ამის უკან, ვერ გეტყვით," - განაცხადა მაია ფანჯიკიძემ. მისივე აზრით, ცხადია ერთი რამ - ხელისუფლებას მოახლოებულ არჩევნებზე გარდაუვალი მარცხი კარგად აქვს გააზრებული.

"ცხადია, რომ ხელისუფლება დარჩენილ დროში ყველანაირად ცდილობს, რაღაც პრობლემები მოაგვაროს, რადგან იცის, რომ არჩევნები წაგებული აქვს. ეს მისი უკანასკნელი გაბრძოლებაა," - აღნიშნა მაია ფანჯიკიძემ.

## "ქართული ოცნება" კარალეთის ინციდენტში მონაწილე კიდევ სამი პირის დასჯას ითხოვს

კოალიცია "ქართული ოცნება" კარალეთის ინციდენტში მონაწილე კიდევ სამი პირის დასჯას ითხოვს. როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე კოალიციის პრესსპიკერმა მაია ფანჯიკიძემ განაცხადა, მათ დამატებითი სამი ე.წ. ზონდერის იდენტიფიცირება მოახერხეს, რომელთა ფოტოებიც უწყებათაშორის კომისიას წარდუგინეს.

"ჩვენ მოვახდინეთ ვანო მიდებაშვილის, ბესო კახნიაშვილისა და გოგიტა გოჩაშვილის იდენტიფიცირება და მოვითხოვთ ამ ადამიანების მიმართ მკაცრი ზომების გატარებას, რათა მათმა დაუსჯელობამ სხვა პირები არ წაახალისოს," - აღნიშნა ფანჯიკიძემ, რომელმაც, თავის მხრივ, უკანონოდ შეაფასა კარალეთში მომხდარი დაპირისპირების ფაქტზე მათი ოთხი მხარდამჭერის დაკავება.

კოალიციის პრესპიკერმა გორში გუშინწინ გამართული აქციაც შეაფასა და აღნიშნა, რომ დაძაბული კვირის მიუხედავად, მანიფესტაციამ სრულიად მშვიდობიანად ჩაიარა. "მინდა, მადლობა გადავუხადო შიდა ქართლის მოსახლეობას, რომელსაც არ შეეშინდა და აქციაზე მოვიდა. ასევე აქციის ორგანიზატორებს, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს, რათა ის მშვიდობიანი ყოფილიყო," - აღნიშნა ფანჯიკიძემ.

## ეგვიპტეში კლინტონის კორტეჟს პომიდვრები დაუშინეს

ამერიკის სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონის კორტეჟს ეგვიპტელმა დემონსტრანტებმა პომიდვრები და ფეხსაცმელი დაუშინეს. ეს მოხდა ალექსანდრიაში, როდესაც კლინტონმა ამერიკის ხელახლა გახსნილი საკონსულოს შენობა დატოვა. ამას გარდა, დემონსტრანტები ჰყვიროდნენ: "მონიკა, მონიკა, მონიკა."

კლინტონის განცხადებით, იგი ამ ქვეყანაში ჩამოვიდა პასუხის გასაცემად მათთვის, ვისაც სწამთ, რომ ვაშინგტონი ეგვიპტის პოლიტიკაში რომელიმე მხარეს დგას. "მინდა, ნათლად დავაფიქსირო, რომ ამერიკა ეგვიპტეში არ არჩევს დამარცხებულებსა და გამარჯვებულებს. მე ალექსანდრიაში იმის გამო ჩამოვედი, რომ ეგვიპტელი ხალხი ამერიკის სრულ მხარდაჭერაში დავარწმუნო," - აღნიშნა ამერიკის სახელმწიფო მდივანმა 1993 წელს დახურული საკონსულოს ხელახლა გახსნაზე.

ცერემონიიდან გამოსულ სახელმწიფო მდივანს პომიდვრები, ფეხსაცმელები და წყლის ბოთლები დაუშინეს. პომიდორი ერთ-ერთი ეგვიპტელ მაღალჩინოსანს მოხვდა სახეში. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის განცხადებით, კლინტონის მანქანა არ დაშავებულა.

ერთი დღით ადრე კლინტონი ეგვიპტის სამხედრო ხელმძღვანელობას შეხვდა. გასულ წელს ჰოსნი მუბარაქის გადაყენების შემდეგ ქვეყანაზე კონტროლი სამხედროებმა აიღეს, რომლებმაც პირობა დადეს, რომ არჩევნების შემდეგ უფლებამოსილებას დათმობდნენ.

მართალია, ქვეყანაში არჩევნები უკვე ჩატარდა და ეგვიპტეს ახალი პრეზიდენტი მოჰამედ მურსი ჰყავს, თუმცა ქვეყანა კვლავ პოლიტიკურ ქაოსშია - პრეზიდენტს არ ჰყავს კაბინეტი და ქვეყანას არ ჰყავს პარლამენტი.

კლინტონი ახალ პრეზიდენტს შაბათს შეხვდა და უსურვა, რომ ამ თანამდებობის "სრულ უფლებამოსილებას" მიაღწიოს. კლინტონის თქმით, ეგვიპტელი ხალხი აყალიბებს საკუთარ პოლიტიკურ მომავალს, თუმცა ასევე აღნიშნა, რომ ამერიკა იმუშავებს, რათა "სამხედროებმა ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფუნქცია დაიბრუნონ."

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალჩინოსნის თქმით, სამხედროების ლიდერ მოჰამედ ჰუსეინ ტანტაუისთან შეხვედრისას (რომელიც დახურული იყო) მხარეებმა პოლიტიკურ ტრანზიციაზე იმსჯელეს. კვირა საღამოს სახელმწიფო მდივანი სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებსა და ქრისტიან ლიდერებს შეხვდა. იგი შეეცადა, ისინი ეგვიპტის შიდა პროცესების მიმართ ამერიკის ნეიტრალიტეტში დაერწმუნებინა.

ქვეყნის დატოვების შემდეგ კლინტონმა აღნიშნა: "ორდღიანმა ვიზიტმა დამანახვ, რომ ეგვიპტელი ხალხი სამართლიანად არის შეშფოთებული. გულწრფელად ვიტყვი, მათ სამართლიანი შიში აქვთ საკუთარი მომავლის მიმართ."

როგორც სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელები აღნიშნავენ, ამერიკა მზად არის, ეგვიპტის ბიზნესის დასახმარებლად 250 მილიონი დოლარის სესხი გამოყოს.

## ირანი მზადაა, სირიის მოლაპარაკებებს უმასპინძლოს

კვირას ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ირანმა სირიის მთავრობასა და ოპოზიციას თეირანში მოლაპარაკების გამართვა შესთავაზა. "ირანის საგარეო საქმეთა მინისტრ ალი აკბარ სალეჰის თქმით, თეირანი მზადაა, სირიის მთავრობისა და ოპოზიციის მოლაპარაკებებს უმსაპინძლოს," - აცხადებენ ირანის სახელმწიფო ტელეარხები. სალეჰმა რეპორტიორებს განუცხადა, რომ "ირანი დისიდენტებს მოიწვევს, რათა მთავრობასა და დისიდენტებს შორის შეხვედრის მომზადება მოხდეს." სალეჰმა აღნიშნა, რომ ირანი სირიაში გაერო-ს სპეციალური წარმომადგენლის კოფი ანანის ე.წ "ექვსპუნქტიან გეგმას" უჭერს მხარს.

ქვეყანაში ოპოზიციის წინააღმდეგ მკაცრი ზომების გამოყენების გამო ასადის რეჟიმს არაერთი ქვეყანა გმობს, თუმცა ბაშარ ასადს კვალავ უჭერენ მხარს ისეთი ქვეყნები, როგორებიც არიან რუსეთი, ჩინეთი და ირანი. გასულ კვირას დიდმა ბრიტანეთმა გაერო-ს უშიშროების საბჭოში ახალი რეზოლუცია წარადგინა, სადაც წერია: თუ სირიის მთავრობა კოფი ანანის სამშვიდობო გეგმას არ შეასრულებს, მაშინ "გადაუდებელი ზომების მიღება მოხდება."

რუსეთი და ჩინეთი, რომლებიც გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები არიან, სირიის წინააღმდეგ რეზოლუციის მიღებას ბლოკავენ. რუსეთმა საკუთარი გეგმა წარმოადგინა, სადაც მხარეებს ძალადობის შეწყვეტისაკენ მოუწოდა და სირიაში გაეროს სადამკვირვებლო მისიის სამი თვით გაგრძელებისაკენ გააკეთა მოწოდება.

ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელ რამინ მეჰმან-პარასტის თქმით, ირანი მზად არის, სირიას კრიზისის დიალოგის გზით გადაჭრაში დაეხმაროს. თუმცა, ამერიკა და სხვა ქვეყნები ამ პროცესში ირანის მონაწილეობით მოხიბლულნი არ არიან. "ირანი სირიის პრობლემის ნაწილს წარმოადგენს. ის მხარს უჭერს და ეხმარება ასადის რეჟიმს მატერიალურად და მრავალი სხვა გზით," - აცხადებს გაერო-ში ამერიკის ელჩი სუზან რაისი.

შაბათს კი მეჰმენ პარასტმა გააკრიტიკა "რეგიონის ის ქვეყნები, რომელთაც სწამთ, რომ მემამბოხეების შეიარაღებით სირიის კრიზისის გადაწყვეტას ეხმარებიან. ნაცვლად იმისა, კონფლიქტი კიდევ უფრო გააღვივონ და ქვეყანას სამოქალაქო ომისაკენ უბიძგონ, ამ ქვეყნებმა უნდა გამოიყენონ საკუთარი გავლენა და მხარეებს დიალოგისაკენ მოუწოდონ," - აღნიშნავს ირანული საგანტო "ფარსი."

*მომზადა თამთა კახაძე*

# აფრიკა "ალ კაიდასათან" საბრძოლველად ემზადება



აფრიკის სახელმწიფოები მზად არიან, გაგზავნონ ჯარები წესრიგის აღსადგენად მალიში, რომელიც "ტერორისტული ჯგუფების თავშესაფარი გახდა", - ამის შესახებ კონტინენტის დასავლეთ ნაწილის სახელმწიფოებმა ეთიოპიაში, აფრიკული კავშირის სამიტზე განაცხადეს. აფრიკული სახელმწიფოების ამ გადაწყვეტილებას მხარს უჭერენ ამერიკის შეერთებული შტატები და საფრანგეთი. თვით ეს აფრიკული სახელმწიფოები კი მიიჩნევენ, რომ ოპერაციის განსახორციელებლად გაერო-ს სანქცია სჭირდებათ.

მალიში შექმნილი სიტუაცია მთავარი განსახილველი საკითხი იყო აფრიკული კავშირის სამიტზე ადის-აბებაში. ამ კავშირის კომისიის ხელმძღვანელმა ჟან პინგმა მალიში შექმნილ კრიზისს უწოდა "უსერიოზულესი საფრთხე კონტინენტისთვის". დასავლეთ აფრიკის ეკონომიკური თანამეგობრობა (ECOWAS) მზად არის, ჯარები გაგზავნოს ამ სახელმწიფოში წესრიგის აღსადგენად. აფრიკელ ლიდერებს ამისთვის სჭირდებათ მალის მთავრობის ოფიციალური თანხმობა და გაერო-ს უშიშროების საბჭოს მხარდაჭერა. რეგიონის სახელმწიფოები გაერო-ს სანქციის შემთხვევაში მზად არიან, მალიში მიავლინონ 3 ათასი სამხედრო მოსამსახურე. ამ ქვეყანაში წესრიგის აღდგენის აუცილებლობაზე თანხმდება აფრიკელ ლიდერთა უმრავლესობა. კოტ დ'ივუარის პრეზიდენტმა კი მალის ჩრდილოეთს "ტერორისტული ჯგუფების თავშესაფარი" უწოდა. ჩარევის აუცილებლობას აფრიკელი ლიდერები იმით ხსნიან, რომ მალის არმია არ არის სათანადოდ მომზადებული ამ დონის ტერორისტულ საფრთხესთან გასამკლავებლად.

აფრიკის კავშირმა უკვე მოიპოვა ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის მხარდაჭერა. თუმცა დასავლეთის სახელმწიფოები არ არიან მზად, სათავეში ჩაუდგნენ ოპერაციას. მათ შეიძლება, აფრიკულ სახელმწიფოებს გაუწიონ მატერიალური და ტექნიკური დახმარება. აფრიკის სახელმწიფოთა პრეზიდენტები კი აცხადებენ, რომ მალის არმია საფრთხეს მარტო ვერ უმკლავდება, თუმცა ექსპერტთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ თვით ბლოკ "ECOWAS"-ის სამხედროებიც ამოცანას დასავლეთის სახელმწიფოების დახმარების გარეშე ვერ მოაგვარებენ.

მარტში მალიში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალებით ისარგებლეს ამბოხებულებმა, სხვადასხვა ტიპის ისლამისტებმა და ტუარეგების ტომის მებრძოლებმა. ამ ალიანსმა კონტროლი დამყარა მალის ჩრდილოეთ ნაწილზე. გადატრიალების საბაბი სწორედ ის იყო, რომ მალის სამხედროების აზრით, ხელისუფლება ამბოხებულებს ეფექტურად ვერ ებრძოდა, თუმცა შემდეგ, როგორც ვნახეთ, უარესი მოხდა (ეს ცნობილია "24 საათის" მკითხველისთვის). ისლამისტურ დაჯგუფებებს სათავეში უდგას ორგანიზაცია "ანსარ ად დინი" (რელიგიის დამცველები), რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ისლამური მაღრიბის სახელმწიფოებში მოქმედ "ალ კაიდასთან". ისინი დღეს მალის ტერიტორიის დაახლოებით ორ მესამედს აკონტროლებენ. ის რადიკალები, რომლებიც დე ფაქტო ხელისუფლებაში არიან, ამჟამად მალის ჩრდილოეთ ნაწილში, მიიჩნევენ, რომ მუსლიმანები მხოლოდ ალაჰს უნდა ეთაყვანებოდნენ. შესაბამისად ეს რწმენა მათ "უფლებას აძლევს", დაანგრიონ უძველეს ქალაქ ტიმბუქტუში წმინდანების მავზოლეუმები და უძველესი მეჩეთები (ამის შესახებაც უკვე წერდა "24 საათი"). ექსპერტები მალიში შექმნილ სიტუაციას ნაწილობრივ აკავშირებენ სამოქალაქო ომთან ლიბიაში და მუამარ კადაფის სიკვდილთან. პოლკოვნიკის დაღუპვის შემდეგ მისმა ასობით მომხრემ მომთაბარე ტუარეგების ტომიდან ლიბია დატოვა და სამხრეთით მალიში გადაინაცვლა. იქ ისლამისტების და ტუარეგების კოალიციამ ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილიდან კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლები და სამხედრო შენაერთები განდევნა. მათ აპრილში ამ ტერიტორიაზე შექმნეს სახელმწიფო აზავადი, რომელიც არავის ულიარებია და რომელშიც რეალურად ხელისუფლება "ალ კაიდას" ეკუთვნის. მომდევნო თვეებში ისლამისტებმა ამ ტერიტორიიდან ტუარეგებიც განდევნეს და დღეს ისინი, ფაქტობრივად, მარტო მოქმედებენ.

გუშინვე გაირკვა, რომ მოხერხდა შვიდი ალჟირელი დიპლომატიდან სამის გათავისუფლება, რომლებიც მალის ჩრდილოეთ ნაწილში, კერძოდ გაოში მდებარე საკონსულოდან გაიტაცეს. გათავისუფლებული სამი დიპლომატი უკვე სამშობლოშია. ეს დაადასტურა ალჟირის საგარეო საქმეთა მინისტრმა მურად მედელსიმ და იმედი გამოთქვა, რომ მალე დანარჩენების გამოხსნაც მოხერხდება. დიპლომატების გათავისუფლების პირობები და დეტალები უცნობია.

შვიდი ალჟირელი დიპლომატი და ჰუმანიტარული ორგანიზაციების ორი თანამშრომელი ქალი დატყვევებული ჰყავდა დაჰგუფებას "მოძრაობა ერთიანობისა და ჯიჰადისთვის დასავლეთ აფრიკაში". ამ 9 ადამიანში 45 მილიონ ევროს ითხოვდნენ. ჰუმანიტარული ორგანიზაციების თანამშრომელი ქალები - ესპანელი და იტალიელი - გაიტაცეს შარშან ოქტომბერში დასავლეთ საჰარიდან დევნილთა ბანაკიდან. ბანაკი მდებარეობს ალჟირში, ქალაქ ტინდუფში.

*მომზადა ივა შილაკაძემ*

# ასადის რეჟიმს სამხედრო ტრიბუნალი ემუქრება

პირველი გვერდიდან



იგივე დოკუმენტი იმასაც გულისხმობს, რომ იკრძალება მიზანმიმართული თავდასხმა სამოქალაქო პირებზე, სამედიცინო პერსონალზე, წყლის მომმარაგებელ სისტემებსა და ელექტროენერგიის სადგურებზე, რადგან ესეც სამხედრო დანაშაულად განიხილება.

თუ ადრე კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ ქალაქებად იდლიბი, ჰომსი და ჰამა სახელდებოდა, ვითარება მეტისმეტად არის გამწვავებული უკვე დამასკოშიც. ამბოხებულების ინტენსიურ იერიშს სამთავრობო არმია ტადამუნის კვარტალში იგერიებს. გავრცელებული ცნობებით, გასული დღე-ღამის განმავლობაში სირიის დედაქალაქში 20-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა. მოსახლეობის დიდი რაოდენობა იძულებულია, საკუთარი სახლები მიატოვოს და თავშესაფარი მოძებნოს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებმა კი ტრემსეს ნასახლარი მოინახულეს, სადაც რამდენიმე დღის წინ დატრიალებულ ტრაგედიას მთელი სოფლის მოსახლეობა - 220 ადამიანი შეეწირა. გაერთიანებული ერების წარმომადგენელთა თანახმად, ტრემსეში დაღუპულთა შორის არის ასევე სირიის გამათავისუფლებელი არმიის ერთ-ერთი ლიდერი სალეჰ ალ-სუბაი. სოფელზე თავდასხმა ჯერ ავიაციით და საარტილერიო ცეცხლით მოხდა, ბოლოს კი მძიმე ტექნიკის გამოყენებით "დაგვირგვინდა". სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენელთა თქმით, სამიზნედ, ძირითადად, ის სახლები იქცა, რომლებსაც თავს ოპოზიციის აქტივისტები და დეზერტირები აფარებდნენ. ქვეყნის ხელისუფლება ამბობს, რომ ტრემსეში მებრძოლები გაანადგურა, ოპოზიცია კი მშვიდობიან მოსახლეობაზე საუბრობს. თანაც სირიის მმართველი რეჟიმი უარყოფს ჰამას რეგიონში სოფელ ტრემსეზე თავდასხმისას მძიმე შეიარაღების გამოყენებას, რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სადამკვირვებლო მისიის შეფასებით, სიმართლეს არ შეესაბამება. მათ საკუთარი თვალით იხილეს, ნასახლარებზე მძიმე ტექნიკით შეტევის კვალი. თუ ასადის რეჟიმის მიმართ გაკეთებული ბრალდებები ოფიციალურად დადასტურდება, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ სირიის ხელისუფლებამ საერთაშორისო შუამავლისთვის - კოფი ანანისთვის მიცემული პირობა დაარღვია.

სირიის საკითხის დროულად გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო საზოგადოებისთვის. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სადამკვირვებლო მისიას მანდატი 21 ივლისს ეწურება. კენჭისყრა უშიშროების საბჭოში ვადის გაგრძელების თუ შეწყვეტის შესახებ 18 ივლისსა ჩანიშნული. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში დაპირისპირების მთავარ ასპექტად სირიის გამო კვლავ სანქციების გამკაცრება მიიჩნევა, დასავლეთი ქმედით და გადამწყვეტ ნაბიჯებს ემხრობა მაშინ, როცა სანქციების გამკაცრებას კატეგორიულად ეწინააღმდეგება ოფიციალური მოსკოვი და პეკინი. რუსეთის პოზიციაზე კენჭისყრის დროს, შესაძლოა, გავლენა მოახდინოს მოსკოვის შეხვედრამაც. დღეს რუსეთის დედაქალაქში დაგეგმილია სირიაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და არაბულ სახელმწიფოთა ლიგის საგანგებო წარმომადგენლის, გაერო-ს ყოფილი გენერალური მდივნის კოფი ანანისა და რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელის შეხვედრა. საერთაშორისო მედიატორთან შეხვედრამდე სერგეი ლავროვმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა, სადაც დასავლეთის ქვეყნები სირიის მოლაპარაკებებში მოსკოვის შანტაჟირებაში დაადანაშაულა. "ვწუხვარ, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ შეინიშნება შანტაჟის ელემენტები. ჩვენ გვეუბნებიან, რომ თუ არ დავთანხმდებით გაერთიანებულიე ერების ორგანიზაციის წესდების მეშვიდე მუხლის შესაბამის რეზოლუციას, უარს იტყვიან საერთოდ დამკვირვებლების მისიის მანდატის გაგრძელებაზე. ჩვენ მტკიცედ გავაგრძელებთ დამკვირვებლების დატოვების მოთხოვნას სირიაში", - აღნიშნა ბრიფინგზე სერგეი ლავროვმა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, ოფიციალური მოსკოვისთვის საქმისადმი ასეთი მიდგომა კონტრპროდუქტიული და სახიფათოა, რადგან არ შეიძლება დამკვირვებლების ხურდად გამოყენება. როგორც ცნობილია, რუსეთმა რეზოლუციაზე ვეტოს დადების პარალელურად ადრე სადამკვირვებლო მისიის მანდატის გაგრძელება სთხოვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას.

სირიაში საგანგებო საერთაშორისო მედიატორი კოფი ანანი დღეს უკვე რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინსაც შეხვდება.

რუსეთი კი თავისას არ იშლის და სირიისთვის იარაღის მიწოდებას კვლავ ცდილობს. ივნისში დაზღვევა შეუჩერეს და ბრიტანეთის ნაპირებიდან უკან გააბრუნეს გემი "ალაიდი", რომელსაც სირიისთვის რუსეთიდან გარემონტებული სამხედრო ვერტმფრენები და სხვა იარაღი მიჰქონდა. გემს დოკუმენტაცია და დროშა რუსეთში ჩასვლისთანავე გამოუცვალეს და განაცხადეს, რომ ის წყნარი ოკეანისკენ წავიდოდა (ამის შესახებ დაწვრილებით წერდა "24 საათი"). გუშინ კი ბრიტანულ მედიაში გაჩნდა ინფორმაცია, რომ "ალაიდი" ისევ სირიისკენ დაიძრა და მას უკვე ოთხი სამხედრო გემი აცილებს. დაუზუსტებელი ინფორმაციით, ტვირთში, ვერტმფრენების გარდა, ჰაერსაწინააღმდეგო სისტემებიც არის. ეს შეიძლება მიიჩნიოთ ბრიტანეთის და საერთაშორისო საზოგადოების გამოწვევად. ამ ფაქტმა შეიძლება ბრიტანულ-რუსული ურთიერთობები დაძაბოს.

# თანამედროვე ტექნოლოგიები ლიტერატურისა და განათლების პროპაგანდისთვის

## ეროვნული ბიბლიოთეკის ტელევიზიის ფუნქცია და დანიშნულება

ბელა ჩეკურიშვილი

მიიჩნევა, რომ თანამედროვე ტექნოლოგიებმა გააძევეს წიგნი ახალგაზრდების ცხოვრებიდან, თუმცა კი, იგივე ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა, წიგნის პროპაგანდა უფრო ფართოდ გაიშალოს და ინფორმაციაც უფრო ფართო მასებს მისწვდეს.

ხსენებულ ტექნოლოგიებს შორის შეგვიძლია, ინტერნეტტელევიზიაც მოვიაზროთ, რომელსაც სულ უფრო ხშირად მიმართავენ სასწავლო-შემეცნებითი ინსტიტუტები. რამდენიმე თვის წინ, კერძოდ 12 აპრილს, ინტერნეტსივრცეში საქართველოს პალამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ტელევიზია გამოჩნდა. როგორც ეროვნული ბიბლიოთეკის კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის დირექტორმა ემზარ ჯგერენაიამ აღნიშნა, კვლევების მიხედვით, ახალგაზრდები ინფორმაციას, ძირითადად, სოციალური ქსელების საშუალებით იღებენ, ისინი აქტიურად არიან ჩართულნი "ფეისბუქისა" და "ტვიტერის" ცხოვრებაში და ნაკლებად უყურებენ კლასიკურ ტელევიზიას, უფროსი თაობისაგან განსხვავებით. შესაბამისად, როცა ეროვნული ბიბლიოთეკის კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის თანამშრომელს გიორგი კილაძეს მკითხველთან ინფორმაციის გაცვლის მიზნით ინტერნეტტელევიზიის შექმნის იდეა გაუჩნდა, დირექტორის მოვალეობის მაშინდელი შემსრულებელი მირიან ხოსიტაშვილი უსიტყვოდ დაეთანხმა.

ბიბლიოთეკები, როგორც კულტურის ცენტრები, განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებლები არიან საზოგადოების ცხოვრებასა და ცნობიერებაში. წიგნი ადამიანებისთვის, პირველ ყოვლისა, ბიბლიოთეკასთან ასოცირდება, მაგრამ იმისთვის, რომ ბიბლიოთეკა წიგნების საცავის ცნებას გასცდეს, უფრო აქტიურად უნდა ჩაებას იგი მკითხველის ყოველდღიურ ყოფაში, სულ უფრო მეტად გახდეს ვირტუალური. ეროვნული ბიბლიოთეკის ტელევიზიის მისია, პირველ რიგში, საზოგადოების ინფორმირებაა ბიბლიოთეკის საქმიანობისა და იმ ღონისძიებათა შესახებ, რასაც ბიბლიოთეკა გეგმავს და ახორციელებს. გარდა ამისა, ეს საშუალებას აძლევს მკითხველს, გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები ამ ყველაფრის შესახებ.

თუმცა კი, როგორც ემზარ ჯგერენაია გვიხსნის, ამ ტელევიზიას კიდევ ერთი ფუნქცია აქვს - ეს ბიბლიოთეკარის საქმიანობის ერთგვარი რეაბილიტაცია და საზოგადოების წინაშე ანგარიშის ჩაბარებაა, თუ რას ემსახურება ეროვნული ბიბლიოთეკის აპარატი, და, მარტივად რომ ვთქვათ, რაში იხარჯება ბიუჯეტიდან ის თანხა, რომელშიც ყოველი ჩვენგანის წვლილია შეტანილი.

ემზარ ჯგერენაია: "ადამიანებს, რატომღაც, ისეთი წარმოდგენა აქვთ, რომ ბიბლიოთეკაში მუშაობა ადვილი საქმეა. მეც ასე ვფიქრობდი, ვიდრე აქ სამუშაოდ მოვიდოდი. მეგონა, მექნებოდა ბევრი თავისუფალი დრო წიგნის წასაკითხად, მაგრამ აღმოვჩნდი ფაბრიკაში, სადაც დილის 10:00-დან 20:00 საათამდე შეუსვენებელი მუშაობაა და ხშირად სამუშაო საათების შემდეგაც ვრჩებით. ბიბლიოთეკის ფონდები თუ დარბაზები უფასოდ ემსახურება სხვადასხვა ღონისძიებებს - იქნება ეს წიგნისა თუ ფილმის პრეზენტაცია, კონფერენცია, გამოფენა. ეს ყველაფერი იმ ღონისძიებათა გვერდით ეწყობა, რასაც უშუალოდ ბიბლიოთეკა ამზადებს და საზოგადოების წინაშე გამოაქვს. ტრაბახით შემიძლია, ვთქვა, რომ ეროვნულ ბიბლიოთეკას მკითხველი არ აკლია, მაგრამ სურვილი გვაქვს, ვაჩვენოთ საზოგადოებას ჩვენი საქმიანობა და მათი შენიშვნებიც გავითვალისწინოთ. როცა ამ საქმეს ვიწყებდით, ვფიქრობდით, რამდენად მოიპოვებდა GeolibTV პოპულარობას. ახლახან ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, საზოგადოებაში ეროვნული ბიბლიოთეკის ორი პროდუქტია პოპულარული" - ლექსიკონთა ციფრული ბაზა და ინტერნეტტელევიზია".



ემზარ ჯგერენაია

GeolibTV ტრადიციული ტელეარხებისგან იმით განსხვავდება, რომ აქ არავინ არავის გულს არ უხეთქავს კრიმინალური თუ საშინელებათა ჟანრის ნიუსებით, არც პოლიტიკურ ვნებათაღელვას იზიარებს და არც ფსევდოიუმორისტულ გადაცემებს ახლაფორთებს, რომლებზეც ბაზრის მოწყენილ მემწვანილეებსაც კი აღარ ეცინებათ. ხოლო როცა ვინმე ლიტერატურულ-შემეცნებით-საგანმანათლებლო გადაცემას უხსენებს, ქართული ტელეარხების მესვეურები იმით იმართლებენ თავს, რომ მსგავს გადაცემებს რეიტინგი არა აქვს, კომერციულად მომგებიანი არ არის და ა.შ. ეს დიდხანს მეც მჯეროდა, ახლა კი არა როგორც ჟურნალისტის ან პოეტის, არამედ გარე დამკვირვებლის პოზიციიდან ერთ რამეს მივხვდი: გარკვეულ ჯგუფს, მართლაც, ეზარება ლიტერატურაზე საუბარი, კითხვა და შემეცნება და ურჩევნიათ, საზოგადოებაშიც მსგავსი განწყობა გაავრცელონ. ნაცვლად იმისა, დათრგუნულ, სოციალურად დაუძლურებულ და გვირაბის ბოლოს სინათლის სხივის მომლოდინე მოსახლეობას თავშესაფრად ლიტერატურა და განათლება შესთავაზონ, სთავაზობენ მდარე შოუებს, რომლებიც იმ წარმოსახვითი სინათლის სხვისაც აქრობს.

GeolibTV-ის მაყურებლისთვის, რომელიც ბიბლიოთეკის მოქმედი თუ პოტენციური მკითხველია, რამდენიმე რუბრიკა მუშაობს: "ჩვენთან, ბიბლიოთკაში" სიახლეებს გვაცნობს, "იფიქრე ხმამაღლა" - მწერალთა, მკითხველთა თუ ბიბლიოთეკის თანამშრომელთა ჩანაწერებია ლიტერტურაზე, წიგნზე თუ საგანმანათლებლო საკითხებზე. რუბრიკა "თაობები" სხვადასხვა თაობის მწერალთა მონოლოგებსა და დიალოგებს აერთიანებს. დაგეგმილია რუბრიკა "ლიტერატურული მიმდინარეობები", რომლის ერთი ნიმუში უკვე არსებობს - მწერალი ზურაბ ქარუმიძე ქართული პოსტმოდერნიზმის განვითარებაზე საუბრობს. სახალისო რუბრიკად შეიძლება ჩაითვალოს "ზეპირი მოთხრობები", ეს ჯერჯერობით ბიბლიოთეკის თანამშრომელთა ზეპირად "დაწერილი" ნოველებია სხვადასხვა თემებზე. როგორც ემზარ ჯგერენაია აღნიშნავს, თანამედროვე ტექნოლოგიები იმის საშუალებასაც იძლევა, რომ ადამიანებმა თვითგამოხატვის სურვილი დაიკმაყოფილონ. ამგვარად ჩაწერილი ნოველებიც გავრცელებული ფორმაა, ზოგი კარგად წერს, მაგრამ ვერ ლაპარაკობს, ზოგს კი წერაზე უფრო ზეპირი თხრობა გამოსდის. ამგვარი ჩანაწერებიც ერთგვარი გზაა თვითგამოხატვისა და აღიარებისკენ, რაც ერთ-ერთი უძლიერესი ადამიანური სურვილია.

როცა ემზარ ჯგერენაიას და მის მოადგილეს გიორგი კილაძეს ვესაუბრებოდი ბიბლიოთეკის ამ ახალ პროექტზე, როგორიცაა ინტერნეტტელევიზაია და ღია ეთერში ლიტერატურაზე საუბარი, უნებურად შემიპყრო სკეპსისმა, ისევ ქართული რეალობიდან გამომდინარე, ხომ არ ჩაანაცვლებს ამ პროექტს რაიმე უფრო კომერციული? ვახუშტი ბატონიშვილი ამბობს, ქართველები ომს კი კარგად იწყებენ, მაგრამ გამარჯვებამდე ბრძოლა აღარ იციანო. ჩემი შიშის საპასუხოდ ემზარ ჯგერენაიამ შემომაგება ბიბლიოთეკაში უკვე განხორციელებული პროექტები, როგორიცაა სამოქალაქო განათლების ციფრული ბაზა, ეროვნული ბიბლიოთეკის ლექსიკონთა ერთიანი ბაზა თუ ინტრანეტული ბიბლიოთეკა. უფრო მეტიც, ეროვნული ბიბლიოთეკის კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტს ამბიცია აქვს, რომ ორი წლის შემდეგ ეროვნულ ბიბლიოთეკას ჰქონდეს ე.წ. "ლაივსტრიმის" რეჟიმიც, რომელიც ჩაწერილ გადაცემებთან მონაცვლეობით გავა ეთერში. გიორგი კილაძე კი დარწმუნებულია, რომ ეროვნულ ბიბლიოთეკის ტელევიაზია მოამზადებს ნიადაგს მაყურებელში იმისთვის, რომ საგანმანათლებლო გადაცემები მოთხოვნადი გახდეს, რის შემდეგაც სავსებით შესძლებელია, GeolibTV-ის რუბრიკები ტრადიციული ტელეარხების ეთერში გავიდეს.

# ჟიურიმ "ბახმარო" აღნიშნა

ოროდე დღის წინ ერევანში დასრულებულ საერთაშორისო კინოფესტივალზე სალომე ჯაშის "ბახმარომ" დოკუმენტური კინოს სექციის ჟიურის სპეციალური აღნიშვნა დაიმსახურა. "ბახმარო" ამავე სექციის საკონკურსო პროგრამაში იყო წარმოდგენილი, თუმცა "ოქროს გარგარი" მიიღო ამ ნომინაციაში წარდგენილმა პალესტინურმა ფილმმა "ხუთი დამტვრეული კამერა", ხოლო "ვერცხლის გარგარი" გადასცეს რუსი ალექსეი ვახრუშევის ნამუშევარს "ტუნდრის წიგნი. ვუკვუკაეს - პატარა ქვის ამბავი".



პალესტინელი ემად ბურნატისა და გაი დავიდის დოკუმენტური ფილმი მიმდინარე წლის სანდენსის კინოფესტივალის ჯილდოს მფლობელიცაა და სხვა წარმატებებსაც უწინასწარმეტყველებენ. ამბობენ იმასაც, რომ ფილმი შესაძლოა, მომავალი წლის "ოსკარის" სიაშიც აღმოჩნდეს, თუმცა 2011 წლის პროდუქციაა. ეს გახლავთ პალესტინელი გლეხისა და მისი ოჯახის ისტორია, რომელიც ხუთი წლის განმავლობაში ვიდეოკამერით აფიქსირებს სასაზღვრო სოფელში მიმდინარე საომარ თუ მშვიდობიან მოვლენებს, აგრეთვე როგორ იზრდებიან მისი შვილები. ხუთი წლის განმავლობაში ფილმის გმირს ხუთი კამერის ყიდვა უწევს, რადგან მის სოფელს ხშირად ბომბავენ ან კამერას შემთხვევითი ტყვია აზიანებს. ხუთი წლის შემდეგ კი სახლში ხუთი დამტვრეული კამერა უგროვდება, რომლებიც მისი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპის ციფრულ ვერსიას ინახავს.

ერევნის საერთაშორისო კინოფესტივალზე საქართველოს მხოლოდ სალომე ჯაში და მისი ფილმი არ წარმოადგენდა - დოკუმენტური კინოს სექციის ჟიურის წევრი გახლდათ ნანა ჯანელიძე. ასევე მოკლემეტრაჟიანი ფილმების კონკურსში, სახელწოდებით - "გარგარის კურკა" მონაწილეობდა კოტე ჩლაიძის ფილმი "მირზას დაბადების დღე".

ფესტივალის პარალელურად, სხვა ღონისძიებებიც მიმდინარეობდა. Directors Across Border-ის ფორუმზე მთავარი ჯილდო (Best Project/Pitch Award) ქეთი მაჭავარიანმა კინოპროექტის "ხელები მაღლა" შემდგომი განვითარებისთვის 5000 ევრო მიიღო. ამავე ფორუმში მონაწილეობდა ნანა ჯანელიძის პროექტი "სხვა სამოთხეც". DAB-ის კოპროდუქციის ფორუმის მიზანია, მონაწილე ქვეყნების (სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდავეთი და უკრაინა) ნიჭიერი ფილმმწარმოებლების ხელშეწყობა და მათ შორის კოპროდუქციის წახალისება.

ფესტივალის ფარგლებში ასევე გაიმართა ელდარ შენგელაიას ფილმების რეტროსპექტივაც, რომელსაც საპატიო სტუმრის სტატუსით თავად რეჟისორიც ესწრებოდა. რეტროსპექტივაში წარმოდგენილი იყო "არაჩვეულებრივი გამოფენა", "შერეკილები", "სამანიშვილის დედინაცვალი" და "ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი".

*24 საათი*



### კონკურსი მედიისთვის



*იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ გამოაცხადა კონკურსი, რომელიც მიზნად ისახავს მედიისა და ხელოვნების დარგში მომუშავე პირების მიერ საქართველოს სასამართლოების მუშაობის გაშუქების შეფასებას. ჯილდო გადაეცემა საუკეთესო ნამუშევრებს ხუთ სხვადასხვა კატეგორიაში ბეჭდურ და სამაუწყებლო მედიაში, რადიო, ბლოგსა და პლასტიკური ან საშემსრულებლო ხელოვნებაში.*

საკონკურსო ნაშრომების შეფასების მიზნით შეიქმნა 7-კაციანი ჟიური, რომლის შემადგენლობაში არიან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი (კონკურსის კომიტეტის თავმჯდომარე), მოსამართლე, ადვოკატი, მედიის სპეციალისტი, ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტის (JILEP) თანამშრომელი.

ჟიურის წევრთა პირველი შეხვედრა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გასულ კვირას გაიმართა. შეხვედრაზე ჟიურის წევრები შეთანხმდნენ მიმდინარე კონკურსის დეტალებზე.

ჟიური გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინებს კონკურსზე წარდგენილი მასალის ხარისხს; მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული საკითხის ანალიზს, კონკრეტული თემის სიახლეს და მნიშვნელობას.

წარდგენილი მასალები გამოქვეყნებული უნდა იყოს 2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 28 სექტემბრის ჩათვლით. საკონკურსო მასალა ჟიურის უნდა წარედგინოს ელექტრონული ფორმატით - PDF ვერსია ან DVD CD ფორმატით. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, კონკურსი გამოცხადებულია 5 კატეგორიაზე: ბეჭდური მედია, ტელევიზია, რადიო, ბლოგი, პლასტიკური ან საშემსრულებლო ხელოვნება. კონკურსანტს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ერთზე მეტ კატეგორიაში.

კონკურსი უკვე გამოცხადებულია და მონაწილეობის მსურველებმა საკონკურსო მასალები უნდა ჩააბარონ იუსტიციის საბჭოში 2012 წლის 28 სექტემბერის 5 საათამდე ან გააგზავნონ ელფოსტით: n.metreveli@hcoj.gov.ge

გამარჯვებულები გამოვლინდებიან დეკემბერში, ყოველწლიურ "ოქროს ჩაქუჩის" დაჯილდოების ცერემონიაზე. მათ გადაეცემათ სერთიფიკატები და სპეციალური ჯილდო.

### სემინარი დასავლეთ საქართველოს რეგიონების ჟურნალისტებისთვის

ქუთაისში ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტისა და თბილისში ამერიკის საელჩოს დაფინანსებითა და ორგანიზებით ჩატარდა სემინარი "მედია და ნაფიც მსაჯულთა სასამართლო".

სემინარი დასავლეთ საქართველოს მედიის წარმომადგენლებისთვის ჩატარდა და მისი მიზანი გახლდათ ნაფიც მსაჯულთა თემატიკის გარშემო მედიის ინფორმირებულობა.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ: უზენაესი სასამართლოს, ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის წარმომადგენლები, ასევე პროკურორები და ადვოკატები.

ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის სამართლებრივი მრჩეველი - ჯარედ კიმბოლი, კალიფორნიის ფედერალური მოსამართლე დევიდ კარტერი, კალიფორნიის მედიასწავლების ცენტრის პრეზიდენტი, ჟურნალისტი ლარი უელბორნი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზაზა მეიშვილი.

ორი სასემინარო დღის განმავლობაში დასავლეთ საქართველოს მედიის წარმომადგენლებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ აწვდიდნენ ინფორმაციას.

მედიის თავისუფლებისა და მსაჯულთა სასამართლოს მიუკერძოებლობის დაბალანსება ამერიკისა და საქართველოს სასამართლოების მაგალითზე, როგორ აშუქებენ მედიის წარმოამადგენლები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, რა წესებით სარგებლობენ ისინი. ჟურნალისტებს საშუალება ჰქონდათ, ამ და სხვა საინტერესო საკითხების შესახებ უშუალოდ მიეღოთ პასუხები ქართველი და უცხოელი ექსპერტებისგან.

# შეჯიბრებითობა - სამართლიანი სასამართლოს საფუძველი

*ცვლილება, რომელიც სისხლის სამართლის პროცესს ეხება და რომლითაც სამართალწარმოება შეჯიბრებითობის პრინციპზე გადავიდა, დაახლოებით 18 თვის წინ ამოქმედდა, თუმცა, ის საზოგადოებისთვის მაინც სიახლეა. შეჯიბრებითობის პრინციპს საერთო სამართლის ქვეყნებში ჩაეყარა საფუძველი - ინგლისსა და ამერიკაში. ექსპერტები აცხადებენ, რომ მას საფუძველი დაუდო ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ. რადგანაც, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე მსაჯულები მხარეებს მხოლოდ უსმენენ, პროცესში არ ერევიან, შეკითხვის დასმის უფლებაც არ აქვთ და მხარეების პროფესიონალიზმსა და კომპეტენტურობაზეა დამოკიდებული, თუ როგორ გადაწყვეტილებას მიიღებენ ისინი. მხარეებმა უნდა შეძლონ ნაფიც მსაჯულთა დარწმუნება პირის ბრალეულობასა თუ უდანაშაულობაში.*
*შეჯიბრებითობა სასამართლოში სამართალწარმოების მთავარი პრინციპია. შეჯიბრებითობის პრინციპზე დამყარებულ პროცესზე მხარეებმა - ბრალდების და დაცვის მხარემ უნდა წარადგინონ თავის პოზიციები. მოსამართლის როლი გამოიხატება იმაში, რომ ის ვალდებულია მხარეებს შეუქმნას თანასწორი პირობები პოზიციების, ფაქტების და მტკიცებულებების წარსადგენად.*
*პროცესის დროს ძალიან ბევრი რამაა დამოკიდებული იმაზე, ვინ უკეთ იქნება მომზადებული, რომელი მხარე წარმოადგენს მყარ მტკიცებულებებს, ვინ უკეთ დაასაბუთებს თავის პოზიციას და დაარწმუნებს მოსამართლეს ან ნაფიც მსაჯულს თავისი პოზიციის სისწორეში. ეს არის შეჯიბრებითობის პრინციპის მოკლე განმარტება.*
*სამოქალაქო სამართალწარმოებაში შეჯიბრებითობის პრინციპი დიდი ხანია მოქმედებს, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მართალია, ინკვიზიციური ელემენტები არის, მაგრამ პროცესის დიდი ნაწილი შეჯიბრებითობაზეა დამყარებული.*
*თუ როგორ მოქმედებს შეჯიბრებითობის პრონციპი სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების განხილვისას ამის შესახებ გთავაზობთ ინტერვიუს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარესთან ლაშა კალანდაძესთან.*



**- ბატონო ლაშა, შეჯიბრებითობის პრინციპი სიახლეა სისხლის სამართლის წარმოებისთვის, თუმცა, კარგა ხანია სამოქალაქო საქმის წარმოება მასზეა დაფუძნებული. როგორ მოქმედებს სამოქალაქო საქმეთა განხილვისას შეჯიბრებითობის პრინციპი?**

- სამოქალაქო პროცესში შეჯიბრებითობის პრინციპი 1998 წლიდან მოქმედებს და შესაბამისად, მხარეთა შეჯიბრებითობით საქმეთა განხილვის საკმაო პრაქტიკა არსებობს.

შეჯიბრებითობა ნიშნავს მოდავე მხარეთა თანაბარ შესაძლებლობას აირჩიონ თავიანთი უფლებების დაცვის შესაბამისი საპროცესო სამართლებრივი მექანიზმები, აგრეთვე მხარეთა უფლებას, მიუთითონ ფაქტებსა თუ გარემოებებზე თავიანთი მოთხოვნების თუ შესაგებლის დასასაბუთებლად და წარადგინონ მტკიცებულებები ამ ფაქტების დადასტურებისათვის.

შეჯიბრებითობის პრინციზე დაფუძნებულ მართლმსაჯულებაში საქმის განხილვის შედეგი მხარეთა მომზადებასა და მათ მიერ წარდგენილ მტკიცებულებებზეა დამოკიდებული. შესაბამისად, მხარეებმა უნდა იგრძნონ პასუხისმგებლობა თავის უფლებებთან მიმართებაში და სასამართლოს წინაშე წარსდგნენ მომზადებულნი.

მინდა მოგახსენოთ, რომ შეჯიბრებითობის პრინიცპი წარმოადგენს კონსტიტუციურ-სამართლებრივ პრინციპს და ის ასევე, განმტკიცებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილების თანახმად, პროცესის შეჯიბრებითობა წარმოადგენს სამართლიანი სასამართლო უფლების ერთ-ერთ ფუნდამენტურ ელემენტს. შეჯიბრებითობა სასამართლო პროცესში გულისხმობს, პროცესის ყველა მონაწილისათვის შესაძლებლობას, გაეცნოს მეორე მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს, ასევე მონაწილეობა მიიღოს მათ განხილვაში და გამოთქვას თავიანთი მოსაზრებები.

შეჯიბრობითობის პრინციპის არსებობის პირობებში მხარეთა მიერ მითითებული ყოველი გარემოება მტკიცებულებებით უნდა იყოს გამყარებული და რაც უფრო ძლიერი იქნება მხარეთა პოზიციები, მათ წარმატების მიღწევის მით მეტი შესაძლებლობა აქვთ. მხარის მოთხოვნებს, მოსაზრებს სჭირდება არგუმენტები, რომლის გადამოწმებასაც ახდენს სასამართლო და მათი შეჯერებით გამოაქვს გადაწყვეტილება. სასამართლო სიმართლეს ეძებს და ადგენს, სწორედ მხარეების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე და ფარგლებში.

მაგალითისთვის შესაძლებელია მოვიტანოთ სესხის ხელშეკრულება. სესხის ხელშეკრულების არსებობა-არარსებობის დადგენისას სასამართლო მხოლოდ მხარეთა ახსნა-განმარტებას ვერ დაეყრდნობა, მხარეებმა სხვა მტკიცებულებებით უნდა დაადასტურონ აღნიშნული ფაქტი. ანუ თუ პირს სამართლებრივი ურთიერთობები მოწესრიგებული არ აქვს, მხოლოდ მის სიტყვიერ მტკიცებას, თუ არ არსებობს ამის დამადასტურებელი არანაირი დოკუმენტი, სასამართლო გადაწყვეტილება ვერ დაეფუძნება.

შესაბამისად, შეჯიბრებითობის პრინციპზე დამყარებული პროცესი გულისხმობს, რომ წარმატების შანსი აქვს მხოლოდ იმ მხარეს, რომელსაც მყარი პოზიციები და მათი დამადასტურებელი მტკიცებულებები გაჩნია.

მოგეხსენებათ, რომ ზოგადად სამოქალაქო ურთიერთობები ყოველთვის გარკვეული რისკის შემცველია. ამიტომ მხარეებმა კარგად უნდა აწონ-დაწონონ თავიანთი რისკები ამ ურთიერთობაში შესვლამდე.

სამოქალაქო სამართალში, ურთიერთობები შეიძლება მოწესრიგებული იყოს, როგორც ზეპირი ასევე, წერილობითი ფორმით. მაგალითად, სესხის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ზემოთ მითითბული ორივე ფორმით. თუ ხელშეკრულება ზეპირად დაიდება, მხარემ უნდა იცოდე, რომ ის იმ მომენტიდანვე რისკის მატარებელია. რადგანაც, სასესხო პირობის შეუსრულებლობის გამო, გამსესხებელს მოუწევს იმ ფაქტის მტკიცება, რომ თანხა გაასესხა, რაც ზეპირი ხელშეკრულების დროს მტკიცების თვალსაზრისით შეიძლება სერიოზულ სირთულეებთან იქნეს დაკავშირებული.

საკუთარი უფლებების მყარად დასაცავად და იმისთვის, რომ გამოირიცხოს მსგავსი რისკი, სასურველია, პირმა თავიდანვე დადოს ხელშეკრულება წერილობითი ფორმით. ამასთან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ სასესხო ხელშეკრულება შეიძლება იყოს უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი - ესეც მხარეთა არჩევანია. თუ ხელშეკრულების მხარე აირჩევს არაუზრუნველყოფილ ფორმას, ამ შემთხვევაში, მან შეიძლება წარმატებას კი მიაღწიოს, მაგრამ გადაწყვეტილების აღსრულება მაინც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს, მოვალის ქონებრივი მდგომარეობის გამო. თუ ხელშეკრულებთ გათვალისწინებული მოთხოვნა უზრუნველყოფილია, გამსესხებელი შეძლებს თანხის დაბრუნებას. უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის გზით.

შესაბამისად, სამოქალაქო ურთიერთობაში მხარეებმა თავიდანვე უნდა განსაჯონ თავიანთი რისკები და ამის შესაბამისად იმოქმედონ.

**- თუ მხარე მართალია, მაგრამ არ გააჩნია ამის დამადასტურებელი მტკიცებულება, მოსამართლეს აქვს თუ არა უფლება ჩაერიოს პროცესის მიმდინარეობაში, მოითხოვოს მტკიცებულების წარდგენა, დააყენოს მოწმის დაკითხვის საკითხი და ა.შ.**

- შეჯიბრებითობაზე დაფუძნებულ პროცესში ფაქტებისა და გარემოებების მითითებისა და მათი მტკიცების ტვირთი მთლიანად მხარეებს ეკისრებათ. სასამართლოს მტკიცებულებების მოძიება თუ გამოთხოვა თავისი ინიციატივით კანონით ეკრძალება და იგი შებოჭილია მხარეთა მიერ მითითებული გარემოებებითა და წარმოდგენილი მტკიცებულებებით.

სასამართლოს შეუძლია მხოლოდ შესთავაზოს მხარეებს წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები, თუმცა, ვერ მიუთითებს, თუ როგორ და რა ფორმით დაამტკიცონ მათ მიერ მითითებული ესა თუ ის გარემოება.

სწორედ აღნიშნული განამტკიცებს შეჯიბრებითობის პრინციპს და უტოვებს მხარეებს შესაძლებლობას თვითონ განკარგონ თავიანთი უფლებები. სამოქალაქო პროცესში ორივე მხარეს გააჩნია თანაბარი შესაძლებლობა წარადგინონ მტკიცებულებები, ხოლო სასამართლო სწორედ მათი შეფასების საფუძველზე წყვეტს დავას.

სამოქალაქო პროცესი მართალია, თავიდან ბოლომდე შეჯიბრებითობაზეა დაფუძნებული, თუმცა, ზოგიერთი კატეგორიის საქმეთა განხილვისას, როგორიცაა - საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავები, სასამართლოს გარკვეული თავისუფლება ენჭება გარემოებებისა და მტკიცებულებების შეკრებასა და მოძიებაში. კერძოდ, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ. აღნიშნული დავების ხასიათიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ ამ ურთიერთობებს სახელმწიფო მნიშვნელოვან როლს ანიჭებს.

**- ბატონო ლაშა, არის შემთხვევები, როცა ფინანსური პრობლემების გამო, მხარეს საკუთარი პოზიციების დასაცავად ვერ აყავს ადვოკატი, სამოქალაქო წარმოებისას შესაძლებელია თუ არა, სახლემწიფომ უზრუნველყოს მისი დაცვა?**

- სასამართლოში ყველა მხარეს გააჩნია თავისი უფლებების რეალიზაციის შესაძლებლობა. უპირველეს ყოვლისა, არსებობს სარჩელისა და შესაგებლის ფორმები, რომლებშიც დეტალურადაა გაწერილი ყველა ის საკითხი, რომელიც უნდა მიუთითოს მხარემ სარჩელისა თუ შესაგებლის წარდგენისას. გარდა ამისა, არსებობს მრავალი საინფორმაციო ხასიათის ბროშურები, რომლებიც ეხება მნიშვნელოვან პროცესუალურ საკითხებს.

მინდა მოგახსენოთ რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, ასევე ითვალისწინებს სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატის მოწვევას, თუმცა ამისათვის გარკვეული წინაპირობებია დაწესებული. უპირველესად მხარემ სასამართლოს უნდა წარუდგინოს ადვოკატის ხარჯების ანაზღაურების შეუძლებლობის დამადასტურებელი მტკიცებულებები და ამასთან, განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გამო ადვოკატის მონაწილეობა ამ საქმის განხილვაში უნდა იყოს მიზანშეწონილი.

თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ადამიანებმა თავიდანვე უნდა შეაფასონ თავიანთი რისკები და წინასწარ დაიჭირონ თადარიგი და სწორად წარმართონ სამართლებრივი ურთიერთობები, რათა ისინი დაცულნი იყვნენ პრობლემებისგან.

მაგალითისათვის შესაძლოა მოვიყვანოთ მემკვიდრეობის მიღების ფაქტი. მოგეხსენებათ, სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან. მემკვიდრე ამ პერიოდში უნდა გამოცხადდეს ნოტარიუსთან და მიიღოს სამკვიდრო მოწმობა. ეს პროცედურა ყველასთვის ცნობილია, თუმცა მოქალაქეები თავს არიდებენ მის შესრულებას, რაც საბოლოოდ იწვევს გაუგებრობებს, კონფლიქტებსა და სხვადასხვა სამართლებრივ პრობლემებს.

**- დასაშვებია, რომ კონკრეტული დავისას მხარემ გააკეთოს ალიბი, მაგალითად, მოიყვანოს ცრუ მოწმე და ამ გზით მოიგოს საქმე.**

- სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლიობაში შეფასების საფუძველზე. შესაბამისად, ტყუილი აუცილებლად გამოააშკარავდება, გარდა ამისა, მხოლოდ მოწმის ჩვენება გადაწყვეტილების მისაღებად არ არის საკმარისი, მაგალითად, ზეპირი სესხის ხელშეკრულების დროს სესხის გაცემის ფაქტი არ შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებით.

ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მოწმის მიერ განზრახ არასწორი ჩვენების მიცემისათვის.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ შეჯიბრებით პროცესში მართალია, გარემოებების მითითებისა თუ მტკიცებულებების წარდგენის ტვირთი მხარეებს ეკისრებათ, ამასთან მოსამართლის როლიც ძალზე მნიშვნელოვანია, იგი სწორედ წარდგენილი დოკუმენტების საფუძველზე და მის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებას და შესაბამისად ეყრდნობა მხოლოდ იმ პოზიციებს, რომლებიც უფრო მეტად არის არგუმენტირებული.

**- მოქმედებს თუ არა შეჯიბრებითობა ადმინისტრაციული დავისას?**

- ადმინისტრაციული პროცესში მოქმედებს როგორც შეჯიბრებითობის ისე ინკციზიციურობის პრინციპები. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად, ასევე, საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები.

აღნიშნული მიდგომა განპირობებულია, იმით რომ ადმინისტრაციულ პროცესში ერთმანეთს უპირისპირდება ერთის მხრივ სახელმწიფო და მეორეს მხრივ ჩვეულებრივი მოქალაქე, პირი და მათ შორის ბალანსის დასაცავად კანონმდებელმა სასამართლოს მიანიჭა გარკვეული თავისუფლება საქმის განხილვისას. ანუ ინკვიზიციურობა ამ შემთხვევაში ნიშნავს იმას, რომ მხრაეებს შორის ბალანსი, სამართლის და კანონის წინაშე თანასწორობა იყოს დაცული და უზრუნველყოფილი.

# საქართველოს ნაკრებში ახალი ამერიკელია

პირველი გვერდიდან

ეროვნული გუნდის თავკაცის, იგორ კოკოშკოვის არჩევანის შემდეგ საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ შეთანხმებას მიაღწია ამერიკელ ჯეიკობ პულენთან, რომელიც რამდენიმე დღეში საქართველოს მოქალაქეობას მიიღებს და შესაძლებლობა ექნება, ჩვენი ქვეყნის ეროვნულ გუნდში ითამაშოს.

ჯეიკობ პულენთან ერთად საქართველოს ნაკრების შეკრებაზე იქნება ამერიკელი კორი ფიშერიც და ჩვენი ეროვნული გუნდის მწვრთნელს არჩევანის საშუალება ექნება, თუ რომელი ნატურალიზებული კალათბურთელი ათამაშოს კონკრეტულ მატჩში. ფიბა-ს წესების თანახმად, მატჩის განაცხადში მხოლოდ ერთი ნატურალიზებული კალათბურთელის შეყვანაა შესაძლებელი.

საქართველოს ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბს ახალი, ფიზმომზადების მწვრთნელი დაემატა. საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ კონტრაქტი გააფორმა ცნობილ იტალიელ სპეციალისტს, სანდრო ბერკადინოს, რომელიც ჩვენს ნაკრებთან ერთად შეკრებაზე 17 ივლისიდან 13 აგვისტომდე იმუშავებს. ბერკადინო 2011 წელს მაკედონიის ეროვნული ნაკრების ფიზმომზადების მწვრთნელი იყო, გასულ სეზონში კი იტალიურ "სიენაში" მუშაობდა და ამ კლუბთან კონტრაქტი აკავშირებს.

სამწვრთნელო შტაბის გადაწყვეტილებით, ეროვნულ გუნდში კიდევ ერთი ახალგაზრდა, პერსპექტიული კალათბურთელი გამოიძახეს. საქართველოს 20 წლამდელთა ნაკრების წევრი, **ნოდარ თენიეშვილი** ეროვნულ ნაკრებს ავსტრიაში შეუერთდება.

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა 2 ივლისიდან თბილისში ფიზმომზადების შეკრება გაიარა. ნაკრები 17 ივლისიდან


საქართველოს ნაკრების კაპიტანი ზაზა ფაჩულია

სრულფასოვან შეკრებაზე გადავა. ეროვნულ გუნდს მთავარი მწვრთნელი იგორ კოკოშკოვი და რამდენიმე კალათბურთელი შეუერთდება. 17 ივლისიდან 28 ივლისის ჩათვლით ეროვნული გუნდი ავსტრიის ქალაქ შტაინბრუნში მოემზადება, რის შემდეგაც ორ საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას, ასევე გამართავს საკონტროლო მატჩებს ავსტრიისა და გერმანიის ნაკრებებთან.

**ავსტრიაში შეკრებას გაივლიან:**

**გამთამაშებლები**

ჯეისონ პულენი, კორი ფიშერი, გიორგი ცინცაძე, ოთარ ფხაკაძე, რეზო როგავა

**მსროლელები**

მანუჩარ მარკოიშვილი, ბესო ლეჟავა, მერაბ ბოქოლიშვილი, დუდა სანაძე

**მსუბუქი ფორვარდები**

ვიქტორ სანიკიძე, ანატოლი ბოისა, ლევან ფაცაცია

**მძიმე ფორვარდები**

თორნიკე შენგელია, აკაკი დვალიშვილი, ნიკა მეტრეველი, ბექა ბექაური, ნოდარ თენიეშვილი

**ცენტრები**

ზაზა ფაჩულია, გიორგი შერმადინი, რიჩარდ მათიაშვილი

**ნაკრების მოსამზადებელი გეგმისა და ოფიციალური მატჩების განრიგი:**

1-16 ივლისი: ფიზიკური მომზადების ვარჯიშები თბილისში

17-28 ივლისი: შეკრება შტაინბრუნში (ავსტრია)

29-31 ივლისი: საერთაშორისო ტურნირი ესტონეთში. მონაწილეობენ: საქართველო, ესტონეთი, ჩეხეთი და აშშ-ის ერთ-ერთი საუნივერსიტეტო გუნდი

1-5 აგვისტო: შეკრება შტაინბრუნში (ავსტრია)

4 აგვისტო: საკონტროლო მატჩი ავსტრია-საქართველო ავსტრიაში (ქალაქი დადგინდება მოგვიანებით)

7- 9 აგვისტო: საერთაშორისო ტურნირი თბილისში. მონაწილეობენ: საქართველო,

უკრაინა, ესტონეთი,ბელარუსი

13 აგვისტო: საკონტროლო მატჩი გერმანია-საქართველო ლაიფციგში (გერმანია)

18 აგვისტო: ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი საქართველო-რუმინეთი თბილისში

21 აგვისტო: ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ბოსნია-საქართველო სარაევოში (ბოსნია)

24 აგვისტო: ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი საქართველო-ლატვია თბილისში

27 აგვისტო: ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ჰოლანდია-საქართველო ალმერეში (ჰოლანდია)

2 სექტემბერი: ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი რუმინეთი-საქართველო სიბიუში (რუმინეთი)

5 სექტემბერი: ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი საქართველო-ბოსნია თბილისში

8 სექტემბერი: ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ლატვია-საქართველო რიგაში(ლატვია)

11 სექტემბერი: ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი საქართველო-ჰოლანდია თბილისში.

# "ზესტაფონი" ევროპული სეზონის სტარტზე

პირველი გვერდიდან

ბოლო ტესტმატჩი "ზესტაფონმა" ჩეხეთის ჩემპიონთან, ლიბერეცის "სლოვანთან" გამართა და მინიმალური ანგარიშით - 0:1 დამარცხდა. მთელი თამაშის განმავლობაში ქართველი ფეხბურთელები სრულ უპირატესობას ფლობდნენ და მათ რამდენიმე საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს, რისთვისაც დაისაჯნენ კიდეც. "სლოვანთან" შეხვედრამდე ზესტაფონელები რუმინეთის საუკეთესო გუნდს, ბუქარესტის "სტიაუას" დაუზავდნენ (0:0).

შემადგენლობის გაძლიერების თვალსაზრისით კლუბის ხელმძღვანელობას რაიმე ქმედითი ზომებისთვის არ მიუმართავს. უფრო პირიქითაც შეიძლება ითქვას. გუნდი დატოვეს ძირითადი შემადგენლობის უცვლელმა ფეხბურთელებმა - ცენტრალურმა მცველმა გიორგი ონიანმა და შემტევმა ნახევარმცველმა შოთა გრიგალაშვილმა. ისინი გორის "დილაში" გააგრძელებენ კარიერას. სანაცვლოდ, "ზესტაფონმა" ახალგაზრდა ცენტრალური მცველი, ყოფილი თბილისის დინამოელი გიორგი კაჭკაჭიშვილი დაიმატა. შოთა გრიგალაშვილის პოზიციაზე, სავარაუდოდ, ასევე ახალგაზრდა და პერსპექტიული ლუკა გუგუჩია მოიაზრება. თუმცა, ის, რომ "ზესტაფონი", როგორც წესი, გუნდის მონოლითურ მდგომარეობას ინარჩუნებს და რადიკალურ ცვლილებებს არ მიმართავს, უკვე ტრადიციაა, რაც მის სტაბილურობაზეც სათანადოდ აისახება. ამის ხარჯზე "ზესტაფონმა" არა მხოლოდ შეძლო ჩემპიონობის მოპოვება, არამედ გასულ სეზონში ტიტული შეინარჩუნა კიდეც, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ სარბიელზე კონკურენცია გაცილებით გაიზარდა. თუმცა, ერთია შიდა არენა და მეორე - უეფას ევროტურნირები, სადაც ჩვენი გუნდი დღეს სეზონის ოფიციალურ სტარტს აიღებს. გია გეგუჩაძე წინასამატჩო ვითარებით კმაყოფილია და მიაჩნია, რომ მისი გუნდი "ნეფთჩისთან" შეხვედრას კარგად მომზადებული ხვდება.

"ავსტრიაში შესანიშნავი შეკრება გავიარეთ და, მიუხედავად იმისა, რომ სპარინგების შედეგები არც ისე სახარბიელოა, მთავარ მიზანს მივაღწიეთ - გუნდი შეიკრა და, ასე ვთქვათ, დავლაგდით. გუნდმა უკვე მიიღო თავისი სახე და, ვფიქრობ, თამაშიდან თამაშამდე კიდევ უფრო მოვუმატებთ.

რაც შეეხება ჩვენს ხვალინდელ მეტოქეს, ავსტრიაში ყოფნისას "ნეფთჩის" ორ საკონტროლო მატჩს დავესწარი. ამ გუნდს ბევრი ლეგიონერი ჰყავს და შეტევაში დიდი პოტენციალი აქვს. შანსები თანაბარია, თუმცა, ვფიქრობ, გარკვეული უპირატესობა მაინც ჩვენ მხარესაა. "ზესტაფონი" უფროა გუნდი, ამ სიტყვის ფართო გაგებით - ჩვენი მთავარი კოზირი გუნდური თამაშია, რაზეც წლების განმავლობაში ვმუშაობდით. "ნეფთჩის" კი, რომელსაც ბევრი ახალწვეული ჰყავს, ამის გაკეთება მოკლე დროში, ფორსირებულად გაუჭირდება. საქართველოს ჩემპიონს აზერბაიჯანის საუკეთესო გუნდის ბარიერის დაძლევა მართებს. იმედი გვაქვს, ასეც იქნება", - განაცხადა გია ჭიაბრიშვილმა მატჩისწინა პრესკონფერენციაზე.

გუშინ ჩვენი გუნდი ჩარტერული რეისით ბაქოში გაემგზავრა. მთავარმა მწვრთნელმა თან 19 ფეხბურთელი წაიყვანა:

მეკარეები - როინ კვასხვაძე, ზურაბ მამალაძე;

მცველები - თეიმურაზ ღონღაძე, ზაალ ელიავა, მამუკა კობახიძე, ედიკ საჯაია, თევდორე გრიგალაშვილი, თორნიკე გრიგალაშვილი;

ნახევარდაცვა - თორნიკე აფციაური, შოთა ბაბუნაშვილი, ზურაბ მენთეშაშვილი, თორნიკე გორგიაშვილი, დავით რაჟამაშვილი, ლუკა გუგუჩია, ლევან შარიქაძე, მიშიკო სარდალიშვილი;

თავდასხმა - დავით მუჯირი, ჯაბა დვალი, აბაიომი ოვონიკოკო.

მატჩი თბილისის დროით 20 საათზე დაიწყება. მის ტრანსლირებას საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი პირდაპირ ეთერში გეგმავს.

## ოუ ჯეი მაიოს ვარიანტები

ალექსანდრე ასათიანი



ოუ ჯეი მაიოს ფავორიტი "ლეიკერსია"

ამერიკულ საკალათბურთო გეტოში პრივატული ბაზრობა გაიხსნა. დახლზე გამოტანილია პატარა ჩანთა, რომელშიც საინტერესო მოთამაშეა გახვეული. მისტერ ოუ ჯეი მაიო, ზარმაცი, გონიერი და სწრაფი ბიჭი, რომელიც ოთხ გუნდს უნდა. მაიოს გადაბირება სურთ "ლეიკერსს", "ჩიკაგოს", "ფინიქსს" და "დალასს". ოუ ჯეი თავისუფალი აგენტია და დახლზე ისვენებს. ექსპონატს აკვირდებიან და ოთხიდან ერთი გუნდი ბიჭს წაიყვანს, დაბანს, გაიფორმებს, ჯამში საკვებს დაუყრის, რეგულარულისთვის მოამზადებს. მაიოს "ლეიკერსში" უნდა და ამერიკელები ჭორაობენ, რომ ფავორიტი უფრო "დალასია". "მავერიქსის" მფლობელმა, მილიარდერმა და, შეთავსებით, დებოშირმა მარკ კიუბანმა დირკ ნოვიცკისთვის ახალი სათამაშო უნდა შეიძინოს. გერმანელმა მოიწყინა. მაიო გერმანელ ტერორისტთან წავა. და მშვიდად იქნება.

მაიომ "ლეიკერსი" აირჩია და იქ აუცილებლად ცოტა დრო ექნება. თუ კალიფორნიული ბორმანქანა მაიოში მეორე ნომერს ხედავს (და ოუ ჯეი ნამდვილად მეორე ნომერია), "ლეიკერსში" მეორეზე მისტერ ბრაიანტი დგას. აქ ვარიანტები არ არის. მაიო ყველა შემთხვევაში ზედმეტი იქნება. თუ ჯეკ ნიკოლსონის ბენდში მაიოში პირველ ნომერს ხედავენ, ვერც ეს ვარიანტი გაქაჩავს. ოუ ჯეი სტივ ნეშზე გადის და სტივი ლიგის ყველაზე დიდი ინტელექტია. კობისთან და ტიმ დანკანთან ერთად. მაიოს ორივე ვარიანტში ცოტა დრო და ცოტა სროლა ექნება. ოუ ჯეი რაღაცაზე უნდა ჩამოყალიბდეს, ან "ლეიკერსში" 6-7 მილიონს პირსახოცების მიტანაში და კობის მოფერებაში მიიღებს. კალიფორნიაში ეს ჩვეულებრივი ამბავია, იქ ზედმეტი ხარ და თან, არც არ ხარ. კუში კუშია. მაიო ყველაზე ძვირი ბალასტი იქნება.

ოუ ჯეი "მემფისში" მაგრად იწყებდა და მერე დაიწყო რეგრესი. დღეს გუნდში ზაკ რენდოლფი თითქმის მოუზეს მელუნია და მარკ გასოლი ლიფსოებს ქარიმივით ასრულებს. მარკი კარგი გასოლი გახდა. "მემფისში" რუდი გეი ყველაფერს ასწრებს და სხვებიც ბოლომდე შედიან როლში. ოუ ჯეის წინა რეგულარულის დროს ცვლიდნენ. მისტერ მაიო "ბოსტონში" უნდა წასულიყო და "გრიზლისის" ვიზას რეი ალენს უმზადებდნენ. არ გამოვიდა. გაცვლა ბოლო მომენტში გააჩერეს. ალენის ჯანმრთელობის გაუარესების გამო. მაიოს მთელი ეს პროცესი არ მოეწონა. ნაწყენი იყო. და ბოსებს მეგობრულად უთხრა, იქნებ გამცვალოთო. ბოსებმაც - კარგიო. ამერიკაში ბოსები კარგ ბიჭებს პატივს სცემენ. ეს კარგი ტონია. ოუ ჯეიმ პირველი რეგულარულის (2008/09) შემდეგ, გააუარესა პერსონალური სტატისტიკა და მაინც საჭირო ექსპონატია. დაცვაში ბულტერიერია და სტაბილურად აკეთებს საქმეს. ოუ ჯეი არ იღლება. მაიოში მარკ კიუბანი ჯეისონ ტერის ხედავს. "დალასმა" ტერის ახალი კონტრაქტი არ გააფორმა და მსროლელი "ბოსტონში", რეი ალენის ადგილზე მივიდა. Nice.

მაიო პირველ სეზონში - 82 ტესტი, 18.5 ქულა, 3.8 მოხსნა, 3.2 პასი, 1.1 ჩაჭრა. კარგი სტარტი.

მაიო მეორე სეზონში - 82 ტესტი, 17.5 ქულა, 3.8 მოხსნა, 3.0 პასი, 1.32 ჩაჭრა. მშვენიერი.

მაიო მესამე სეზონში - 71 ტესტი, 11.3 ქულა, 2.4 მოხსნა, 2.0 პასი, 1.0 ჩაჭრა. რეგრესი.

მაიო ბოლო სეზონში - 66 ტესტი, 12.6 ქულა, 3.2 მოხსნა, 2.6 პასი, 1.1 ჩაჭრა. წავა. და თან, არც წავა.

ოუ ჯეი კარიერით - 4 584 (15.2) ქულა, 999 (3.3) მოხსნა, 818 (2.7) პასი, 333 (1.1) ჩაჭრა. ახალ გუნდში წარდგენის თვალსზრისით, მშვენიერი CV-ა. "დალასში" CV ძალიან მოეწონათ. "დალასში" მარკ კიუბანი მაიოში ჯეისონ ტერის ხედავს და თუ ბიჭი გაქაჩავს, პირველ ნომერზეც დააყენებს. ოუ ჯეიმ უნდა მოიფიქროს. ყველაფერი მალე მოგვარდება.

**ოუ ჯეი მაიო**: "მემფისში" დარჩენაც შეიძლება, მაგრამ ლოს ანჯელესში უფრო მინდა. კობი ბრაიანტთან თამაში პრესტიჟი, ჩემი ოცნებაა. იყოს ნაკლები წუთი, იყოს ნაკლები სროლა. "ლეიკერსში" მოგებას ეჩვევი და ეს მთავარია. "დალასიც" ძალიან კარგი ვარიანტია. ორი წლის წინ გუნდი ჩემპიონი იყო და "დალასში" დირკ ნოვიცკია. ალბათ, საუკეთესო არაამერიკელი ლიგაში."

მისტერ ოუ ჯეი მაიო, ზარმაცი, გონიერი და სწრაფი ბიჭია, რომელიც ოთხ გუნდს უნდა. მაიოს გადაბირება სურთ "ლეიკერსს", "ჩიკაგოს", "ფინიქსს" და "დალასს". ოუ ჯეი თავისუფალი აგენტია და დახლზე ისვენებს. ექსპონატს აკვირდებიან და ოთხიდან ერთ-ერთი გუნდი ბიჭს წაიყვანს, დაბანს, გაიფორმებს, ჯამში საკვებს დაუყრის, რეგულარულისთვის მოამზადებს.

# ლუის სკოლა II: გადატვირთვა

ზურაბ თალაკვაძე

ლონდონში არგენტინა ბოლო ბისზე გადის. ემანუელ ჯინობილის, კარლოს დელფინოს, ანდრეს ნოჩიონის, პაბლო პრიჯიონის ჯაზი კიდევ ერთი ფესტივალის ჰედლაინერი იქნება. არგენტინამ უნდა წამოიღოს. რვა წლის წინ ათენში მანუმ პრობლემები მოაგვარა და არგენტინა ოლიმპიადის ყველაზე პოპულარული რესტლერი გახდა. დარენ არონოვსკის შედევრი ჯერ არ იყო გადაღებული და ერთმა რესტლერმა ათენი ააყირავა. იმ რესტლერმა მოუგო ამერიკულ ოცნებას, იმ რესტლერმა შეჭამა იტალიური პიცა და იმ რესტლერმა ოქროს მედლები დაირტყა. არგენტინა ოლიმპიური ჩემპიონი იყო. იმ ნაკრებში პრობლემებს ლუის სკოლაც აგვარებდა. სერიოზული, კლასიკური, მშვიდი და ცოტა სადისტური კალათბურთით. სკოლა მანუს შემდეგ პირველი კაცი იყო. ლუისი კარიერას "ფინიქსში" გააგრძელებს. საინტერესოა.

"ჰიუსტონში" დუაიტ ჰოვარდისთვის საკონტრაქტო კუშს და გასახდელში ადგილს ამზადებენ. სკოლა "როკეტსის" ერთ-ერთი ლიდერი იყო და "ჰიუსტონი" ჰოვარდს ლუისთან კონტრაქტის შენარჩუნებით მაინც წამოიყვანდა. სკოლა დარჩებოდა მეოთხე ნომერზე, ჰოვარდი მეხუთეზე იცელქებდა და ტეხასში ელექტროხერხით ჩეხვის სეანსები იხსნებოდა. "ჰიუსტონმა" ლუისი საკონტრაქტო ამნისტიაში გაუშვა და სკოლა თავისუფალი აგენტი გახდა. არგენტინელი "როკეტსის" საკუთრება იყო და "როკეტსში" არ ვარჯიშობდა. ლუისი ნიჭს, ქარიზმას და გამოცდილებას არიზონაში წაიღებს. "ფინიქსში" საინტერესო ბანდა იქნება. სტივ ნეშის გარეშე.

სკოლა პრობლემებს ინტელექტით აგვარებს. კარიერით, თითქმის არ აფარებს (0.3), ცოტა ჩაჭრას (0.7) იღებს და ლუისი კალათბურთის ფრედი კრიუგერია. ფრედი, რომელიც 32 წლის წინ, 30 აპრილს, ბუენოს აირესში დაიბადა. სკოლა გაიხსნა და გაბურძგნილი ბიჭის გაკვეთილებზე ბევრი მიდიოდა. ლუისმა ევროპაში, ესპანეთში, ტაუს სქემებში სიცოცხლის ელექსირი შეიტანა და ტაუ ევროპის ლეიკერსი გახდა. დრაფტზე ლუისი "სან ანტონიომ" მიიღო და გრეგ პოპოვიჩი ლუისში ტიმ დანკანის ძმაკაცს ხედავდა. "სან ანტონიომ" სკოლა ვერ დაიკონტრაქტა. ლუისის გუნდმა დიდი თანხა მოითხოვა, სკოლამ პოპოვიჩს კონტრაქტზე ავტოგრაფი არ დაუსვა და "ჰიუსტონში" წავიდა. ჰიუსტონი ტეხასია. სან ანტონიოც. ჰიუსტონში ჰაკიმ ოლაჯუონის და კლაიდ დრექსლერის შემდეგ, საჩემპიონო ბენდი არ ყოფილა. სან ანტონიოში კოიოტები, ადმირალები და დანკანები დაძრწოდნენ. იქვე პოპოვიჩის ლექციები ტარდებოდა და სკოლამ საკონტრაქტო შეცდომა დაუშვა.

პირველ სეზონში (**2007/08**) სკოლა "ჰიუსტონს" 10.3 ქულას, 6.4 მოხსნას, 1.3 პასს აძლევს. თამაშიდან სროლების 51.5 პროცენტი ჩასვა და საჯარიმოების 66.8 % გამოიყენა.



*ლუის სკოლა "ფინიქსში" წავიდა*

**მეორე სეზონი**. 12.7 ქულა, 8.8 მოხსნა, 1.5 პასი. 30.1 წუთში. თამაშიდან ზუსტი სროლის პროცენტი უკვე 53.1 გახდა. ლუისმა დაცვა გამოასწორა. "ჰიუსტონი" ძველი თემაა. ნორმალური გუნდი მიზერული პერსპექტივით და კარგი არგენტინელით. სკოლა მარვი გახდა.

**2009/2010** - 82 გარჩევა, 32.3 წუთი, თამაშიდან სროლების 51.4 % ათიანში წავიდა. ლუისმა მოუმატა, სამწამიანში ტრიალი, იქ ცელქობა ისწავლა. ლუისი კალათბურთის ხულიგანი პერსონაჟი, რაღაც თვალსაზრისით, მიკი რურკია. სეზონი 16.2 ქულით, 8.6 მოხსნით, 2.1 პასით დახურა. სკოლა ჩვენი ბიჭია. "ჰიუსტონმა" არგენტინელის უნივერსალიზმი და რაფინირებული აგრესია ვერ გამოიყენა. "როკეტსი" ისევ მეორე ეშელონის ბანდა და ერთჯერადი პროექტია. ლუისთან ერთად.

**შემდეგი სეზონი** - ისევ 82 თამაში, ისევ 32.3 წუთი და უფრო მაგარი სტატისტიკა. 18.3 ქულა სერიოზულია. 8.2 მოხსნაც რესპექტაბელურია. თავისი 2.5 პასიც. სკოლამ საქმე გააკეთა და ლუისი უკვე "როკეტსის" ლიდერია. 0.6 დაფარებით კარიერის რეკორდი შეკრა. ზუსტი სროლები - 50.4 %. ლუისმა ცენტრობაც ისწავლა. ამერიკულ ლიგაში არგენტინა გაიშალა.

**ბოლო რეგულარული** - ნაკლები თამაში (66), ნაკლები წუთი (31.1), ნაკლები ქულა (15.5), ნაკლები მოხსნა (6.5) და უფრო ცოტა პასი (2.1). ლუისმა, პირველად ამერიკულ კარიერაში, სროლების 50 პროცენტზე ნაკლები (49.1) გამოიყენა. "როკეტსი" აიშალა. სკოლაც ცოტა აიჭრა.

**ლუისი კარიერით - 5 597** (14.5) ქულა, **2 984** (7.7) მოხსნა, **723** (1.9) პასი. არგენტინული სტატისტიკა და კარგი პერსპექტივა. ეს პერსპექტივა თავის ნიჭს არიზონაში წაიღებს და სკოლა "ფინიქსის" არაამერიკელი ლიდერი იქნება. "სანზის" კიდევ ერთი არაამერიკელი ლიდერი. კანადელი სტივ ნეში უკვე "ლეიკერსშია" და საქმეს იქ უნდა მიხედოს.

"ფინიქსში" დარჩა ჩვენი ახლობელი, პოლონეთის ნაკრების შაკი, მარჩინ გორტატი. ცენტრი, რომელიც სტივ ნეშთან ერთად კარგი გახდა. ცენტრი, რომელმაც წინა რეგულარული 15.4 ქულით, 10.0 მოხსნით და 1.5 დაფარებით გადააგორა. გორტატმა მთელი ეს ამბები 66 თამაშის 32.5 წუთში მოასწრო. მარჩინი და სკოლა სამწამიანში ბევრ პრობლემას დატოვებენ. სკოლა იწყება. გორტატთან ერთად.


## გამომცემლობა ინტელექტი

## ჩანაწერები

20 წიგნი

გამოუქვეყნებელი დღიურები

ცნობილი ადამიანების უცნობი ავტობიოგრაფიული შტრიხები

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ



დაგვიკავშირდით:
თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. N5
ტელ: (+995 32) 2 25 05 22
(+995 32) 2 47 55 54
inteleqti@caucasus.net
info@intelekti.ge
www.intelekti.ge
www.intelekti.ge